საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 7 | ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1990. | ფასი 3 კაპიკი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1990 წლის 18 დეკემბერს, 15 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 18 დეკემბერს, 18 საათიდან.

მთავრობის მოამბე

მინისტრთა საბჭოში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი ტყის ჯიშთა თესლის და სამკურნალწამლო მცენარეების დამზადებისა და რეალიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში გახშირდა ტყის ჯიშთა თესლის და სამკურნალწამლო მცენარეების დამზადება არასპეციალიზებული უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და სხვათა მიერ. დამზადებული პროდუქციის ნაწილი გატანილია საზღვარგარეთ, მაგრამ საერთაშორისო კონიუნქტურის. შეუსწავლელობის პროდუქციის შესაბამის კონდიციამდე დაუყვანლობის გამო რესპუბლიკიდან გატანილი პროდუქციის პრესტიჟი საგრძნობლად ეცემა, იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს. ტყის ჯიშთა თესლისა და სამკურნალწამლო მცენარეების უკონტროლო დამზადება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ფლორასა და ფაუნას.

ერთიანი ბუნების დაცვის პოლიტიკის გატარების, ბუნებრივი რესურსების ნედლეულის დამზადებისა და რეალიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აუკრძალა ყველა არასპეციალიზებულ უწყებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს რესპუბლიკის ტყეებში ტყის ჯიშთა თესლისა და სამკურნალწამლო მცენარეების რეწვა-დამზადება და რეალიზაცია სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმების გარეშე.

საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს (შ. ჭალაგანიძე) დაევალა ტყის თესლისა და სამკურნალწამლო მცენარეების დამზადებაზე ნებართვა გასცეს მხოლოდ რეგიონების მიხედვით განსაზღვრული რესურსების იმ ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის აღწარმოებას და განვითარებას. ამავე კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს სანქციები დამრღვევ პირთა მიმართ.

მკაცრად იქნენ გაფრთხილებული რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები, რათა არ დაუშვან ტყის ჯიშთა თესლისა და სამკურნალწამლო მცენარეებისა და სხვა ტექნიკური ნედლეულის რეწვა-დამზადება თავიანთ რაიონებში და მათი რეალიზაცია სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმების გარეშე.

სს „საქართველო"

საკუთარ სახლში

დამფუძნებელი ყრილობა

სუხუმში ჩატარდა აფხაზეთის დამოუკიდებელი პროფკავშირების დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც სათავე დაუდო აფხაზეთის პროფკავშირების განახლებას.

ყრილობაზე ინფორმაციით გამოვიდა აფხაზეთის პროფკავშირების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ცობეჩია. მან აღნიშნა, რომ იმ სოციალურ პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელიც ათეული წლების მანძილზე იყო დამკვიდრებული არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში, თავისი დაღი დაასვა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათი მუშაობის სტილს.

აფხაზეთის პროფკავშირების საოლქო საბჭო ამ გარდაქმნისათვის კარგა ხანი ემზადებოდა. სწავლობდა და ამუშავებდა საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების ზედა ეშელონებზე ზემოქმედების ახალ ხერხებს და ფორმებს. მართლაც, ამჟამად მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროფკავშირული ორგანიზაციების უფლებები. მათ არაერთი გზა გააჩნიათ იმისათვის, რომ პოლიტიკური ცვლილებების პროცესში, მძლავრი ეკონომიკური რეფორმების გატარებისას დაიცვან მშრომელი ადამიანის სოციალური უფლებები და საშუალება არავის მისცენ, ვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაცია ხალხის ხარჯზე განხორციელდეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ არა მხოლოდ პროფკავშირები მთლიანობაში, არამედ მათი ცალკეული დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურებიც. ამგვარი ცვლილებები, ცხადია, გამოიწვევს მაკოორდინირებელ ორგანოში შემავალი რგოლების ურთიერთმოქმედების სისტემის გარდაქმნის საჭიროებას, რაც უკვე ხორციელდება.

ყრილობაზე ხაზი გაესვა იმას, რომ დამოუკიდებელი პროფკავშირების დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებასთან ერთად აფხაზეთის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმი და სამდივნო შეწყვეტს ფუნქციონირებას იმ ფორმით, რომელიც მას სადღეისოდ გააჩნია და ენთუზიაზმით შეუდგება არა მხოლოდ ფასადის შელამაზებას, არამედ ღრმა, რადიკალური, ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას.

მას შემდეგ, რაც აფხაზეთის პროფკავშირების საოლქო საბჭომ თავი ლიკვიდირებულად სცნო, აზრთა მძაფრი გაცვლა-გამოცვლისა და კამათის შედეგად გამოინახა კონსენსუსი და ყრილობა მივიდა ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე — შეიქმნას აფხაზეთის დამოუკიდებელი პროფკავშირები სახელწოდებით — აფხაზეთის დამოუკიდებელი პროფკავშირების კავშირი.

ყრილობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭო აირჩიონ 5 წლის ვადით, ხოლო პროფკავშირული ორგანოს ხელმძღვანელებს მიეცეთ უფლებამოსილება უმაღლესი თანამდებობები დაიკაონ არა უმეტეს ორი ვადისა (ათი წელი).

ყრილობამ აფხაზეთის დამოუკიდებელი პროფკავშირის (კონფედერაციის) საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გიორგი ცობეჩია, მოადგილედ ვიაჩესლავ ცუგბა, გადაწყვიტეს რიგი საორგანიზაციო საკითხები.

იოსებ გობეჩია,
საქ. კორესპონდენტი.

ვიდრე კანონს მივიღებდეთ

დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება ერთიანობა, რათა დავუდგეთ გვერდში ჩვენს მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილ ეროვნულ პარლამენტს დაკარგული დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაბრუნებლად; მითუმეტეს, რომ გარდამავალი პერიოდის დროს მოსალოდნელია საქართველოს მიმართ მრავალი ახალი წინააღმდეგობები, საბოტაჟები და ეკონომიკურ-პოლიტიკური სანქციები.

იმასთან დაკავშირებით, რომ შენარჩუნებული და გაძლიერებული იქნეს საქართველოს თითოეული მშრომელის სოციალურად დაცულობა და გარანტიები, არ ჰქონდეს ადგილი მშრომელების კანონიერი ინტერესების შეზღუდვასა და ამაზე დაყრდნობით ქაოსის გამოწვევას წარმოება-დაწესებულებებში, რაც არაკეთილმოსურნეების წისქვილზე წყლის დასხმა იქნებოდა, გაცნობებთ:

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციაში, მშრომელთა თავისუფალ პროფკავშირულ მოძრაობასთან მუშაობს ჯგუფი, რომლის საქმიანობაც წარმართული იქნება:

1. საქართველოს და მისი მშრომელების ინტერესებიდან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე პროფკავშირების ერთიანობის შესანარჩუნებლად.

2. ადმინისტრაციასა და მშრომელებს შორის არსებული კონფლიქტების დროს პროფკავშირის წევრების ინტერესების მხარდასაჭერად.

3. საქართველოს მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების დამცავი ორგანოს, პროფესიული კავშირების საბოლოო სახის აღსადგენად და ჩამოსაყალიბებლად.

ყველა დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს აღნიშნული მიმართულებით უკვე გაწეულ მუშაობას და მიიღოს კონსულტაციები მისთვის საჭირო საკითხზე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახი № 69, ტელ. 93-43-95.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია;

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა.

ხელისუფლების დერეფნებში

როცა ციფრები ტყუის და ფული მხოლოდ ქაღალდია

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, როდესაც სახელმწიფო ორგანოები თვითნებურად, ხალხის დაუკითხავად წყვეტდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებს, უკიდურესად გამწვავდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ქვეყანა ღრმა კრიზისში მოექცა. თითქმის ყველა რგოლი მოიშალა, რამაც მოსახლეობის ფართო ფენებს უკეთესი მომავლის მოლოდინის იმედებიც კი გაუცრუა. ამჟამად კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ბელანტია.



როგორც ცნობილია, ახალმა პარლამენტმა მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, დღემდე არსებული სამოცდაათწლიანი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის შინაგანი უუნარობის გამო, თანამედროვე მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ვერ მოხერხდა ცივილიზებული საზოგადოებისათვის შესაფერისი წარმოების ორგანიზაცია მოგვეწყო. გიგანტურმა ეკონომიკურმა სტრუქტურამ მინიმუმამდე შეამცირა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ავტონომიურად ფუნქციონირების უნარი. რა უნდა გაკეთდეს, რაში ხედავთ გამოსავალს?

— დიახ, მართალი ბრძანდებით, ერთიანმა სახალხო-სამეურნეო კომპლექსმა ეკონომიკურად ისე მიგვაჯაჭვა საბჭოთა კავშირს, რომ ამ ბორკილებისგან თავის დაღწევა ძალზე უჭირს ყველა რესპუბლიკას. ამ კავშირის დარღვევა მოითხოვს რადიკალურ „ქირურგიულ" ჩარევას, ასეთი ჩარევა შესაძლებელია, რამეთუ ღვთის წყალობით, მეცნიერება სიამის ტყუპებსაც კი აცილებს ერთმანეთს. მანამდე კი ამ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მონოპოლიზმის წნეხი მძიმე ტვირთად აწევს რესპუბლიკებს. ცენტრმა იცოდა, რომ რესპუბლიკები და მათ შორის, ჩვენც, დღეს თუ ხვალ მოვითხოვდით დამოუკიდებლობას, სწორედ ამიტომაც, რომ იტყვიან, ნაღმი დაგვიდო. თითქმის ყველა სფეროში ფასების მომატება. ცრუ ხელფასების მომატება, ადმინისტრაციული აპარატის უსასრულოდ გაზრდა და სხვა მოვლენები საოცარ ტვირთად დაეკისრა რესპუბლიკებს.

1990 წელს თუ ჩვენი ბიუჯეტი 4,2 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1991 წლის ბიუჯეტი 7,2 მილიარდით არის განსაზღვრული და ფაქტობრივად იგი გაორმაგდა. საკითხავია, საიდან უნდა შევავსოთ ეს დეფიციტი? ასე რომ, პრობლემები უმძაფრესი გვაქვს და, ბუნებრივია, საფიქრალიც და საშუშაოც აურაცხელი. სიტუაცია რთულდება იმითაც, რომ მიუხედავად ჩვენში საგეგმო კომიტეტის უამრავი ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტისა და სტატისტიკური კომიტეტის არსებობისა, დღეს ჩვენ ზუსტად არ ვიცით რას ვაწარმოებთ საქართველოში, აქედან რა გადის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ყოველივე ეს რამდენია ვალუტით მანეთებში. გარდა ამისა, არ ვიცით რას მოვიხმართ, აქედან რა შემოდის საბჭოთა კავშირიდან, არ ვიცით რამდენს მოიხმარს კერძო სექტორი. ასე რომ, დღეს ამომწურავი ინფორმაციის საშინელ შიმშილს განვიცდით. ჩვენ სტატისტიკური აღრიცხვა ფაქტობრივად დღემდე უშვებდა მიწერას, გაყალბებული, მოჩვენებითი ციფრების შედგენას. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ადგილობრივი სამინისტროებისა და საწარმოების რგოლები გაივსო არაკომპეტენტური ადამიანებით, რადგან მათ იცოდნენ თავიანთი მთავარი ფუნქცია და ისინიც შეეჩვივნენ ფიქტიური, ყალბი ცხოვრების სურათების ჩვენებას. ძველ სისტემას არც ეკონომისტები, არც იურისტები რეალურად არ სჭირდებოდა, რადგან მთავარი მიზანი გეგმების ფიქტიური შესრულება იყო და არა ჭეშმარიტი ძიება, საქმე და წინსვლა.

ახლა ცენტრი პანაცეად გვპირდება საბაზრო ეკონომიკის შექმნასა და დამკვიდრებას. მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით თუნდაც შატალინის პროგრამას, ცხადია, რომ იგი უპირველესად ფასების მომატებას ემყარება და ხშირ შემთხვევებში მეტწილად ხელოვნურ კონსტრუქციად წარმოგვიდგება. საბაზრო ურთიერთობა პირველ რიგში დემოკრატიას გულისხმობს და იგი თავისუფალ ქვეყნებშია მისაღები. დემოკრატიულ ეკონომიკურ წყობას კი სჭირდება თანასწორუფლებიანი პარტნიორები, თავისუფალი მეწარმეობის კანონი, სწორი ინფორმაცია და ელემენტარულად ფული, და არა ის ჩვენი სუროგატი, რომელიც თვით მარქსისტული „თეორიით" მასზე დაკისრებული ხუთი კლასიკური ფუნქციიდან ვერც ერთს ვერ ასრულებს.

ეკონომიკური, ფინანსურ-საკრედიტო სისტემის მოშლილობის ასეთ პირობებში ყველაზე უფრო უჭირს მშრომელ ხალხს, პატიოსან გასამრჯელოზე მომუშავე ადამიანებს, იმათ, ვინც ძველმა ხელისუფლებამ ბედის ანაბარა მიატოვა, ყოველგვარი გარანტიისა და დაცულობის გარეშე. აქედან გამომდინარე, რადგან საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე ფასების ზრდა გარდაუვალია, ჩვენს უპირველეს ამოცანად გვესახება სოციალურად დაცვა იმ ადამიანებისა, ვინც პატიოსნად იშრომა და შრომობს.

ამ ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის კიდევ ერთ ასპექტს მინდა ხაზი გავუსვა: რამდენი ხანია ორმანეთიანი ხორცი არ გიყიდიათ? ცხრამანეთიანი ხორცი გინახავთ მაღაზიებში? ეს ფსევდოფასები ხორცისა სპეციალურად არის შემოღებული, ისინი მხოლოდ მაფიას სჭირდებოდა, რადგან ეს შვიდ მანეთიანი განსხვავება დაკანონებულად მის ხელში გადადიოდა. მაშასადამე, გაიზარდა ფასები ხორცზე, მაგრამ იგი რეალურად არავის უნახავს სახელმწიფო მაღაზიების დახლებზე. ამან კი გაამძაფრა სულ მცირე სამი პრობლემა: ჯერ ერთი, ადამიანებს წაართვა უპირველესი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მეორე, უპატიოსნოდ და უკანონოდ გაამდიდრა პარაზიტული ფენა მოსახლეობის და მესამე, მოშალა ფინანსური მექანიზმი და წარმოების სტიმულირების სისტემა. აი, ასეთ ურთულეს პირობებში გვაქვს საკითხები გადასაწყვეტი. ქმედითი ბარიერი უნდა დავუდოთ დოვლათის განიავებას. ხალხს უნდა მიეცეს ნორმალური ცხოვრების საშუალება, ამასთან ბიუჯეტიც საგრძნობლად უნდა გაძლიერდეს ისე, რომ ჩვენმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ შეძლოს ჭეშმარიტად სუვერენული განვითარება.

— ასეთ მძიმე ეკონომიკურ პირობებში რას გვიქადის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაშინ როდესაც ცენტრალიზებული სისტემის დაშლა ჯერჯერობით არათავისუფალ ქვეყანაში ერთბაშად შეუძლებელია. თქვენი აზრით, რამდენ ხანს გასტანს გარდამავალი პერიოდი და რა უნდა გაკეთდეს მის დასაჩქარებლად?

— საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებობის ამ 70 წლის განმავლობაში ისეთი სქემები და სტრუქტურები მოგვახვიეს თავს, რომლებიც გამორიცხავდნენ ეროვნული სახელმწიფოს თვითმყოფად განვითარებას. ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, მართალია, გაგვიჭირდა 1918-21 წლებში, მაგრამ მაშინდელი არეულობის პირობებშიც დამოუკიდებელი საქართველო მაინც ეკონომიკურ ოაზისად გამოიყურებოდა. უკიდურეს გასაჭირში მყოფ გარემოცვასთან შედარებით, საჭმელ-სასმელი მაინც არასოდეს აკლდა ქართველის ოჯახს. ერთ-ერთი მიზეზი უკუსვლისა, ცხადია, ისაა, რომ საერთო საკავშირო ეკონომიკურმა სტრუქტურებმა ფაქტობრივად მოშალა ჩვენში ის ტრადიციული დარგები, რომლებიც ასულდგმულებდნენ საქართველოს ეკონომიკასა და განსაზღვრავდნენ მის სახელს. მოვიყვან ერთ ფაქტს, ახლა 41 ათასი ტონა კარაქიდან, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას სჭირდება, 40 ათასი ტონა უცხოეთიდან შემოგვაქვს, ხოლო მილიონ 800 ათასი ტონა მარცვლეულიდან მილიონ ნახევარზე მეტი შემოგვაქვს, მაშინ როდესაც ამ პოზიციებზე საქართველო ძველად ტრადიციულად ძლიერი იყო და საკმაოდ ეფექტიანად აგვარებდა საკუთარ მოთხოვნებს.

ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა შევაჩეროთ უფსკრულისაკენ ვარდნა, ელემენტარული საარსებო საშუალება შევუქმნათ მოსახლეობას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მაღალ მატერიებზე საუბარი. გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა, რომელსაც ჩვენ ვაცხადებთ, ალბათ, 2-3 წელიწადით განისაზღვრება და იგი დიდად არის დამოკიდებული საგარეო და საშინაო პირობებზე, იმაზე, თუ რა სისწრაფითა და შემართებით ვიელით. მრგვალი მაგიდის ეკონომიკურ კონცეფციაში, რომელსაც დაუჭირა მხარი ქართველმა ხალხმა და რომლის განსახორციელებლადაც მოვედით ჩვენ პარლამენტში, ამის შესახებ საკმაოდ ვრცლადაა ნათქვამი.

რაც შეეხება საბაზრო ურთიერთობების საკითხს, ჩვენი უპირველესი საზრუნავია თავისუფალი, სოციალური საბაზრო მეურნეობის დამკვიდრება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას დასავლეთმა არა ერთი და ორი ათეული წელი მოანდომა. თქვენ ხომ გაქვთ წარმოდგენილი ჩვენსა და დასავლეთს შორის სხვაობა, ამიტომ ამ იდეალამდე მისვლას შეიძლება ერთი და ორი თაობის ძალისხმევაც არ ეყოს. ამასთანავე ეჭვგარეშეა, რომ გეზი სწორი ავიღეთ.

საბაზრო ეკონომიკისათვის, რომელიც უნდა დავამკვიდროთ მომავალ საქართველოში, უპირველესია თავისუფლების ასპექტი: ინდივიდის თავისუფალი მოქმედება ეკონომიკის სფეროში არ უნდა შეიზღუდოს არც სახელმწიფოს მხრიდან მეურვეობით და არც ეკონომიკური ძლიერებით კერძო პირთა ხელში კონცენტრაციით. ამის გარანტიას კონკურენცია და ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა იძლევა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითადი ელემენტებია: პროფესიისა და მუშაობის ადგილის არჩევის თავისუფლება; პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, მათ შორის მეწარმოების თავისუფლება ინვესტიციებზე თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით; ჯანსაღი და ქმედითი კონკურენციის სახელმწიფოებრივი გარანტია; ეკონომიკური ცხოვრების სუბიექტთა უშუალო პასუხისმგებლობა გაერთიანებათა თავისუფლებისა და სატარიფო ავტონომიის ჩარჩოებში; სოციალური უზრუნველყოფის ფართო ქსელი (სისტემა) იმ ინდივიდთა და ჯგუფებისათვის, რომელთაც არ ძალუძთ მონაწილეობდნენ მწარმოებლურ კონკურენციაში.

ეს ელემენტები ქმნიან ერთობლიობას, საიდანაც სისტემის დაურღვევლად შეუძლებელია რომელიმე პუნქტის გამორიცხვა.

იმ იდეალური მოდელისათვის, რომელიც უნდა დავამკვიდროთ საქართველოში, უმთავრესია სოციალურად ძლიერი და აქტიური სახელმწიფო, ე. ი. მოქალაქეთა უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის მყარი სოციალური გარანტიების შექმნა. სახელმწიფომ თვითონ უნდა იკისროს ყველა ის მომსახურება, რომელსაც მოქალაქე ბაზარზე ვერ მიიღებს: სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება, დანახარჯები განათლებასა და გამოკვლევებზე, გარემოს დაცვა, ქალაქთმშენებლობისათვის ხელშეწყობა, ცხოვრების, მუშაობისა და დასვენების პირობების სრულყოფა და ა. შ.

— ბატონო ტარიელ, ეჭვგარეშეა, რომ ქართველმა ხალხმა არჩევანი სწორი გააკეთა, მაგრამ დღის წესრიგში დგება ამ არჩევანის რეალური უკუგების დონის, ფორმებისა და ვადების საკითხი?

— ჩემს გამოსვლებში ხშირად მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: მართალია, ეს არჩევანი სხვადასხვა მიზეზებით გვიან გაკეთდა, მაგრამ ხვალ უფრო გვიანი იქნებოდა. ქართველი ხალხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ენდობოდა სხვა ფორმის მმართველობასა და ვერც ერთ არა ეროვნულ პარტიას. კომპარტიის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას ქართველი ხალხი ვერ მისცემდა ნდობის მანდატს, ვინაიდან დიდი ხანია დაიკარგა ეს ნდობა.

დღეს ისეთი, დრო დაგვიდგა როდესაც შეუძლებელია ეკონომიკისა და პოლიტიკის გათიშვა, ამიტომ ჩვენ მათი შერწყმის პრინციპულ იდეად გვესახება პოლიტიკური დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის სინთეზი. ამის განხორციელება კი დღეს საქართველოში მხოლოდ ეროვნულ მთავრობას შეუძლია, რადგან მხოლოდ მას ხელეწიფება რისკზე წასვლა ხალხის სახელით. სავსებით მოსალოდნელია, რომ ბევრი უარყოფითი ახლდეს პირველ გადადგმულ ნაბიჯს, შეიძლება ზოგიერთი ერთი შეხედვით უსიამოვნო გადაწყვეტილებაც მივიღოთ, მაგრამ სწორედ ახლა გამოჩნდება, თუ რამდენად მაღალია ჩვენდამი ქართველი ხალხის ნდობის ხარისხი. რამდენიმე თვე მაინც, გაჭირვებას უნდა გავუძლოთ, სხვანაირად შეუძლებელია. შევეცდებით არსებული ნდობის კაპიტალი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ, რათა ერთი, ორი წლის შემდეგ ხალხმა იგრძნოს შემობრუნება. ის, რომ ახალი პარლამენტი მართლაც მის მხარეზეა და მასზე ზრუნავს. ვეცდებით ის, რაც გვაქვს, მოსახლეობამდე შეუფერხებლად მივიდეს და იგი ადრინდებულად მაფიის ხელში არ მოხვდეს. იმავდროულად საქართველოში წესრიგი უნდა შევიგრძნოთ ყველგან — მაღაზიაში, ფოსტაში, ტრანსპორტში, ქუჩაში და ა. შ. აი, ასეთია ჩვენი პერსპექტიული და უახლოესი ამოცანები.

ქართველი ხალხი მალე შეიტყობს სიკეთეს, ჩვენ გვყავს ისეთი გონიერი ახალგაზრდები, კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სიტუაციებს ალღოს ძალიან სწრაფად უღებენ, ეს კი იმის საწინდარია, რომ რამდენიმე თვეში ჩვენ გვეყოლება მართლაც მაღალი რანგის, კვალიფიციური პარლამენტი და მთავრობა ისეთი კადრებით დაკომპლექტებული, რომელთა სამსახურზე ძველი ხელისუფლება ხშირ შემთხვევებში უარს ამბობდა, მათი განსწავლულობისა და კომპეტენტურობის გამო. სწორედ მათი იმედით, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები მრავალია, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებთ.

ესაუბრა
ლალი ჭანჭალაძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და კერძოდ, ქ. ცხინვალში, სეპარატისტული ძალების უკანონო დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიაღწია კულმინაციას, ჩატარდა ანტიკონსტიტუციური არჩევნები, გამოცხადდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა", მოხდა ხელისუფლების უზურპაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, საფრთხე ემუქრება სამოქალაქო მშვიდობას, ადგილი აქვს ტერორისტულ აქტებს. დღეს ქ. ცხინვალის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის გამოყენებით მოკლულ იქნა 3 მოქალაქე, ხოლო 3 დაიჭრა.

მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე 1990 წლის 12 დეკემბრიდან. საგანგებო წესების მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი თვით.

2. ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე და ჯავის რაიონში შემოღებულ იქნეს კომენდანტის საათი 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან. კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22 საათიდან 7 საათამდე.

3. ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის კომენდანტად დაინიშნოს შინაგანი ჯარების დივიზიის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი ვ. ი. პუზირნი.

4. მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ისინი მოქმედებენ კანონმდებლობის, წესდებებისა და ამ დადგენილების შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებსა და მათ რწმუნებულებს ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიაზე „საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად მიეცეს უფლება გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებები:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ცხოველქმედობასა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირებას;

2) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

3) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს, დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძევონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

4) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

5) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

6) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

7) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

8) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

9) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

10) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

11) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

12) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

13) შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეო ჩამწერი ტექნიკის გამოყენება; ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დააწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

14) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

15) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

16) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

17) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

18) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო საჭიროების შემთხვევებში, მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

6. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

7. პირები, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პროვოცირებას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, უშლიან ხელს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას, არღვევენ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, შეიძლება დაკავებულ იქნენ ადმინისტრაციული წესით 30-მდე დღე-ღამის ვადით; ეს პირები შეიძლება მიცემულ იქნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

8. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შემოღებულ იქნეს რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციების დაცვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალების გამოყენებით.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან და მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

10. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

თბილისი. 1990 წლის 12 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის სესიის მიერ მიღებული კანონისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაუქმდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველო.

შიდა ქართლი

იურისტთა კავშირი მხარს უჭერს

საქართველოს რესპუბლიკას თვისებრივად ახალ, სუვერენულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ფორმირების გარდამავალ პერიოდში, როცა ამ ღონისძიებებს ეტაპობრივად ახორციელებს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული უზენაესი საბჭო, ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის სეპარატისტულად განწყობილი დაჯგუფებები აძლიერებენ ანტიქართულ აქციებს. ეს კიდევ ერთხელ გამოიხატა საქართველოს ოდინდელ ტერიტორიაზე ადრე ყოვლად უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულად გამოცხადებით და ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების მოწყობით.

საქართველოს იურისტთა კავშირი მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, და მიაჩნია, რომ იგი სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის და საქართველოს კონსტიტუციებს, მოქმედ კანონმდებლობას, და გამოხატავს მოსახლეობის საერთო ნებას, ხოლო ცენტრის მხრივ მის რეალიზაციაში ნებისმიერი ფორმით ხელის შეშლა სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფად უნდა შეფასდეს.

საქართველოს იურისტთა კავშირი.

ქართველებთან ერთად, ერთიან საქართველოში

ჩვენ საქართველოს შაქრის კომბინატის მშრომელებმა, ოსი ეროვნების წარმომადგენლებმა, რომლებიც ქარელის რაიონის სოფლებში, ქართველების მხარდამხარ და მეზობლად ვშრომობთ, ტელევიზიით მოვისმინეთ, გულისყურით გავეცანით და ბოლომდე გავიზიარეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა და მასთან ერთად, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვამბობთ: — სამართლიანი და დროულია უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ეს ხელოვნურად შეკოწიწებული ავტონომიური წარმონაქმნი ათეული წლების მანძილზე აფერხებდა მხარის ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას, ხოლო თავისი ბიუროკრატიული სტრუქტურებით ყოველმხრივ ავიწროებდა და აკნინებდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

კარგად გვესმის: საქართველოს მიწა-წყალზე სტუმარს სტუმარი უნდა ერქვას, მასპინძელს — მასპინძელი, ყველას ერთად კი საქართველოს ხალხი. ჩვენ საქართველოს მოსახლეობა გვქვია და ჩვენი მომავალი ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ ერთიანი და განუყოფელი — საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

იულია ქობახოვა,
საქართველოს შაქრის კომბინატის ინჟინერ-ქიმიკოსი.
ივანე გუზიევი, სპარტაკ ბაზარაევი, ნაზი ბაზარაევა, სადული ტატაევი — კომბინატის მუშები.
ვეუხია ფასოშვილი — ზეინკალი.
ქარელის რაიონი, დაბა აგარა.

დღესვე უნდა ამუშავდეს

უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე საქართველოს არ მიუღია უფრო გონივრული და ეროვნული ფენომენის განმტკიცებისათვის უფრო საჭირო გადაწყვეტილება.

ზვიად გამსახურდიას მოხსენებაში ბრწყინვალედ იყო დასაბუთებული თავის ისტორიულ მიწებზე საქართველოს უფლება და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის უკანონობა და არაკონსტიტუციურობა.

საზოგადოება „თვისტომი“ მთლიანად და სავსებით იწონებს უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის დადგენილებას და მიაჩნია იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმულ დროულ, სწორ ნაბიჯად.

საქართველოს დაუძინებელი მტრების — ბოლშევიკების მიერ მზაკვრულად მოფიქრებული ავტონომიები სხვის მიწაზე სახელმწიფოს შექმნის ყალბ ილუზიებს უქმნიდნენ ოსებს და მიბაძვის უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ ჩვენს მიწაზე მცხოვრებ სხვა ერებსაც, თუმცა არც ახლა და არც მომავალში სტუმარ ერთა თავისთავადობასა და სიმშვიდეს არავითარი საშიშროება არ ემუქრება.

ახლა საჭიროა 11 დეკემბრის კანონი ქაღალდზე არ დარჩეს და დღესვე ამუშავდეს.

დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს შიდა ქართლში საბჭოური სტრუქტურები და შოვინისტი ფუნქციონერები გამორეკილ იქნან კომუნისტური ბუნაგებიდან, რათა მათ მომავალში ველარ შეძლონ მოძმე ოსი ერის ცნობიერების მოწამვლა.

ბოლო უნდა მოეღოს საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე ოსი ნახევრადსპეციალისტების პარპაშს და მკვიდრი ქართველი მოსახლეობის შევიწროებას.

დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს ქართველთა და ოსთა შორის თანამდებობრივი პოსტების განაწილების წონასწორობა, რაც აქამდე ზედის ირონიის გამო მხოლოდ ოსური მხარის სასარგებლოდ წყდებოდა. ფართო გზა მიეცეს სკოლებსა და ინსტიტუტებში აქამდე უსამართლოდ დევნილი ქართული ენის ქართული იდეოლოგიის დამკვიდრებას.

იმედი და რწმენა გვაქვს იმისა, რომ უზენაესი საბჭო თავის გადაწყვეტილებას პრაქტიკულად სასწრაფოდ განახორციელებს, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს თავის ქმედუნარიანობას და ერის ინტერესების სადარაჯოზე დგომას.

საზოგადოება „თვისტომი“.

მეგობრობის გაღრმავებისათვის

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა და სდს ეროვნული პარტიის პოლიტიკური კომიტეტი მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ათეული წლების მანძილზე ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შექმნილი ეს ავტონომიური წარმონაქმნი წარმოადგენდა ქართველი და ოსი მოსახლეობის დაპირისპირების იარაღს, ბზარს უჩენდა ორი ერის საუკუნეობრივ მეგობრობას, აქეზებდა სეპარატისტულ ძალებს ქართული მიწა-წყლის დაქუცმაცება-დანაწევრებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა ლახავდა ძირძველ ქართულ მიწაზე მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს, შოვინისტური ძალებისათვის ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს, იმპერიული ძალები მას იყენებდნენ, როგორც პოლიტიკური მანიპულაციების იარაღს.

უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც ერთ ერს ორი სახელმწიფო წარმონაქმნი აქვს და მათგან ერთი — სხვა ერის ტერიტორიაზე. სწორედ ამ ყოვლად გაუმართლებელმა დათმობამ გაუღვივა მადა შოვინისტური ორგანიზაციის „ადამონ ნიხასის“ სულისჩამდგმელებს, რომლებმაც უტიფრად წამოაყენეს ქართული მიწა-წყლის მითვისების პრეტენზია.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ უნდა აღვიქვათ, როგორც ერთადერთი სწორი პოლიტიკური ნაბიჯი, მიმართული ქართველი და ოსი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების გზაზე, ვინაიდან საქართველოში არცერთი ერის წარმომადგენელი არსად და არასდროს არ ყოფილა დაჩაგრული ან უფლებაშელახული ქართველი კაცის სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე, ჰუმანიზმის პრინციპების ტრადიციებიდან გამომდინარე.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობას და სდს ეროვნულ პარტიას ასევე აუცილებლად მიაჩნია „ადამონ ნიხასის“, როგორც შოვინისტური ორგანიზაციის, გაუქმება, ვინაიდან მისმა ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გაიტეხა სახელი თავისი საქმიანობით, რომელიც მიმართულია ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის საწინააღმდეგოდ.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა და სდს ეროვნული პარტია გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში ყველა პირობა იქნება შექმნილი ოსი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის ორი მეზობელი ხალხის მეგობრობის შემდგომი გაღრმავებისათვის.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა
სდს-ის ეროვნული პარტიის პოლიტიკური კომიტეტი

ისტორიული, სამართლიანი აქტი

ქართველი კაცის სტუმართმოყვარე, კეთილშობილმა ბუნებამ კავკასიის მთებში შეხიზნული ოსობა ბარში ჩამოგვიყვანა, დაგვასახლა, ლუკმა-პური გვიწილადა, და მეტიც, არც საცხოვრისი დაიშურა — ესეც კი მოგვცა.

ამას დღეს გულისტკივილით ვამბობ და არა მარტო მე. ათასობით ოსი ე. წ. ავტონომიურ ოლქში თუ მის ფარგლებს გარეთ ეს ორი წელია შეძრწუნებული და გაოგნებული ვართ: ნუთუ ამაგი ასე უნდა გადაგვეხადა, რა სატანა ჩაუძვრა ზოგიერთ ჩემს თანამემამულეს სულში, რატომ განუდგა ხალხს, რომელსაც ძმობასა და ერთგულებას ეფიცებოდა?!

უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დაძაბულობა იქამდე მივიდა, რომ აღარც ღმერთის კანონებს ცნობდნენ, აღარც ადამიანისას. მოხდა გაუგონარი რამ, რომელიც, ალბათ თაობიდან თაობამდე გაჰყვება ჩემს ხალხს სირცხვილის ლაქად: ცხინვალში ჩატარდა „არჩევნები“ და ეგრეთ წოდებული ავტონომიური ოლქი ამჯერად სსრ კავშირის შემადგენელ „საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოცხადდა.

ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების „რესპუბლიკობანას“ თამამად წერტილი დაუსვა საქართველოს უზენაესმა საბჭომ: ხალხის ნებამ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ბრძნული გადაწყვეტილებაა, რომელსაც, უდავოდ, მოწონებით და კმაყოფილებით შეხვდება ყველა პატიოსანი და შეგნებული ჩემი თანამემამულე, საქართველოს ყველა მშრომელი.

დავით ბედოშვილი.
ქ. გორი.

გალაკტიონი

პოეტის სამშობლოში





რა გასაკვირია, რომ გალაკტიონ ტაბიძის მუზის აკვანში — ვანში პოეზიას დიდ თაყვანს სცემდნენ, უყვარდათ იგი და თავადაც სცდიდნენ კალამს... სწორედ ასეთი ადამიანები შეიკრიბნენ ლიტერატურულ გაერთიანებაში „საჩინო“. აქ არიან პოეტები აკაკი თევზაძე, გიორგი ახობაძე, ელენე ქამუცაძე, მეცნიერ მუშაკი ნაირა მჟავანაძე, ექსკურსიამძღოლი იაშა კოპალეიშვილი და სხვები, რომელთაც გამოსცეს კრებული „საჩინო“, ერთჯერადი გაზეთის „გალაკტიონის“ ორი ნომერი. ახლა გაერთიანების წევრები გამოსაცემად ამზადებენ მეორე ლიტერატურულ კრებულს.

16 წელია „საჩინო“ მოქმედებს გალაკტიონის მუზეუმთან, სადაც თავმოყრილია მდიდარი ბიბლიოთეკა, მემორიალური ნივთები, ქართველ მხატვარ დიდოსტატთა ფერწერული ტილოები. თავისი არსებობის მანძილზე — მუზეუმი კი გაიხსნა 1966 წელს — მისი ექსპოზიცია დაათვალიერა 40 ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა.

გალაკტიონის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მიმდინარეობს იმ სახლის შეკეთება, სადაც დაიბადა ქართული პოეზიის მშვენება და სიამაყე. პოეტის ადგილის დედა ახალ სიცოცხლეს შეიძენს.

სურათებზე: გალაკტიონის სახლ-მუზეუმი ვანში, პოეტის ძეგლი, გალაკტიონის სახლ-მუზეუმის დარბაზები.

სს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა.

საზოგადოება

ეკლესია და დემოკრატიული წყობა

კომპოზიტორი რეჯებ ჟორდანია, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟიშვილია. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ამ დღეებში რეჯებ ჟორდანია ჩვენს რედაქციას ეწვია და დასაბეჭდად შემოგვთავაზა სტატია „ეკლესია და დემოკრატიული წყობა“. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის საკითხებს ეხება და, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის.

ამერიკელები ერთ-ერთი ყველაზე მორწმუნე ხალხია მსოფლიოში. მოსახლეობის რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, შეერთებულ შტატებში ალბათ უფრო მეტი სალოცავია, ვიდრე სხვა ქვეყნებში — პროტესტანტული ეკლესიები იქნება ესა თუ სხვადასხვა დასახელების თავშესაკრები ადგილები, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგები, ტაძრები, მეჩეთები და სხვა რელიგიური ცენტრები, გარდა ამისა, ჩვეულებრივ ამბად იქცა ე. წ. christian revivals — რაც სინამდვილეში ქრისტიანული რელიგიის უშუალო, ხმაურიან აპოლოგიას ნიშნავს: ხალხში, ქუჩაში გამოსული თავიანთი სურვილისა და რწმენის დემონსტრაციას; და ამას დაემატა კიდევ ერთი ფორმა ხალხის რელიგიური განწყობის დაკმაყოფილებისა — სატელევიზიო ევანგელისტთა ქადაგეთა გადაცემები, რაც ასევე დიდძალ აუდიტორიას იზიდავს.

მთელი ეს აქტიური რელიგიური ცხოვრება, ამასთანავე მთლიანად პირადულია. პირადი კი იმას ნიშნავს, რომ იგი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ცალკე პირთა ფულადი შესაწირავის წყალობით; იგი სრულდება პირადი საკუთრების არეალში და არავითარ დახმარებას არ იღებს არავითარი სახელმწიფოებრივი დაწესებულებიდან და მართლაც, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა-განცალკევება მკაცრად არის დაცული და სრულდება ამერიკული კონსტიტუციის მანდატის შესაბამისად.

უძველესი დემოკრატია უძველეს კონსტიტუციასთან ერთად, რომელიც განუწყვეტლივ ტარდება ცხოვრებაში, არის არსი ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამერიკული კონსტიტუცია კანონად იქცა 1789 წლის 4 მარტს, ანუ 13 წლის შემდეგ, რაც გამოაქვეყნეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, და 5 წლის შემდეგ, რაც დაიდო პარიზის ხელშეკრულება, რამაც დაასრულა ომი დამოუკიდებლობისათვის და სრული გამარჯვება მოუტანა შეერთებულ შტატებს.

საკონსტიტუციო ყრილობა, რომელიც 1787 წლის 25 მაისს შეიკრიბა და 17 სექტემბერს დაასრულა მუშაობა, — ოთხ თვეს უწყვეტად გრძელდებოდა. შტატებს სატარიფიკაციოდ დაუგზავნეს მოკლე დოკუმენტები — მთელი ტექსტი სულ 14 გვერდს შეადგენდა. კონსტიტუციის განმსაზღვრელი პუნქტი გულისხმობდა, რომ სატარიფიკაციოდ საკმარისი იყო 9 შტატის მხარდაჭერა — 13 არსებული შტატიდან. ამას მოჰყვა ინტენსიური ბჭობა-მსჯელობის პერიოდი წარმოდგენილი კონსტიტუციის თაობაზე, და ბოლოს, ორი წლის შემდეგ, 1784 წლის 4 მარტს, კონსტიტუცია ძალაში შევიდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ შეიძლებოდა კონსტიტუციის გაშლა შესწორება-დამატებების ხარჯზე: ასეთ შესწორებებს ძალა რომ ჰქონოდა, საჭირო იყო მათი რატიფიკაცია შტატების საერთო რიცხვის ორი მესამედით.

შესაბამისად, 1789 წლის 8 ივნისს, ჯეიმს მედისონმა შესთავაზა 10 შესწორება, რომლებმაც გაიარეს რატიფიკაცია და ძალაში შევიდნენ 1791 წლის 15 დეკემბრიდან.

ამ ათივე შესწორება-დამატებებს „უფლებათა კანონპროექტს“ უწოდებენ, ხოლო პირველს მათ შორის ლამის უფრო არსებითად თვლიან, ვიდრე მთელ დანარჩენ კონსტიტუციას.

ეს პირველი შესწორება გარანტიულად უზრუნველყოფს ლოცვის თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, იძლევა მშვიდობიანი შეკრებისა და მთავრობისადმი პეტიციით მიმართვის უფლებას, ამასთანავე იგი კრძალავს სახელმწიფო სახსრებით ეკლესიის დაფუძნებას და მოითხოვს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას.

აი, მისი ქართული თარგმანი: კონგრესი არ დაადგენს არავითარ კანონს, რომელიც შეეხება რელიგიის დაფუძნებას — ან ასეთის თავისუფალი აღსრულების აკრძალვას; ან შეზღუდვას სიტყვის თავისუფლების, ანდა პრესისა; ან ხალხის უფლებას მშვიდობიანი შეკრებისა და მთავრობისადმი პეტიციით მიმართვისა — დარღვევათა შესასწორებლად.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ეს გამიჯვნა ნიშნავს, რომ არავითარი საზოგადოებრივი თანხები არ უნდა იქნეს გამოყენებული ეკლესიათა ასაგებად ანდა მათი მოვლისათვის, მღვდელთა ან რელიგიურ მამათა ხელფასებისათვის — და ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, რაც ეკლესიასთან არის დაკავშირებული.

მეორე მხრივ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ არავითარი კანონი თუ წესი არ ჩაითვლება კონსტიტუციურად, თუ მან შეიძლება ხელი შეუშალოს რელიგიის თავისუფალ აღსრულებას, სანამ ამას აქვს პირადული ფორმა, ე. ი. არა მთავრობისეული, და არ იხმარებს საზოგადოებრივ სახსრებს.

შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლო არის ის აპარატი, რომელიც იძლევა კონსტიტუციის ინტერპრეტაციას და ასრულებს მის დაცვას.

ძალაუფლების გაყოფის პრინციპის შესაბამისად, რაც ჩაქსოვილია კონსტიტუციაში და გულისხმობს საკანონმდებლო ძალაუფლებას, აღმასრულებელ ძალაუფლებასა და სამართლებრივ ძალაუფლებას, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეს თავისი ადგილი უკავია მთელი სიცოცხლის მანძილზე, და არ შეიძლება გადაყენებულ იქნეს. ისინი დაცულნი არიან პოლიტიკური ზემოქმედებისა და მასობრივი მოძრაობისაგან და სამართალს ქმნიან საკუთარი სინდისის შესაბამისად. რაც შეეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს, 200 წლის მანძილზე უმაღლესი მოსამართლენი განუხრელად ატარებენ მკაცრი გამიჯვნისა და ჩაურევლობის პრინციპს. ამ მხრივ ყურადსაღებია რამდენიმე არცთუ ისე ძველი მაგალითი.

1925: ორეგონის შტატში კანონი მოითხოვდა მშობლებისაგან, რომ მერვე კლასამდე (დაახლოებით 14 წლამდე) ეტარებინათ ბავშვები საშუალო სკოლაში. უმაღლესმა სასამართლომ გააბათილა ეს კანონი, რადგანაც ის წინ აღუდგა „მშობელთა უფლებას გაეგზავნათ ბავშვები რელიგიურ სკოლაში, თუკი ჰქონდათ ამის სურვილი“.

1977: არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ნიუ-ჰემპშირის შტატის კანონი, რომელიც მოითხოვდა ავტომანქანების სალიცენზიო ნომერთა ფირფიტაზე ყოფილიყო შტატის დევიზი „თავისუფალი სიცოცხლე ან სიკვდილი“. (აშშ-ში ყოველ შტატს აქვს საკუთარი ავტომანქანების სალიცენზიო ფირფიტები) რელიგიურმა ჯგუფმა, „იეღოვას მოწმეებმა“, შეუტია ამ კანონს, როგორც მათს მორალურ, რელიგიურ თუ პოლიტიკურ მრწამსთან შეუთავსებელს.

1947: ავტობუსით ბავშვების გაგზავნა რელიგიურ სკოლებში (რაც საზოგადოებრივი ხარჯებით ხდება), რათა მშობლებმა შეძლონ „უხიფათოდ და სწრაფად წაიყვანონ და წამოიყვანონ ოფიციალურად აღიარებულ სკოლებში, განურჩევლად მათი რელიგიისა“ — ამ კანონს არ დაურღვევია ეკლესიასა და სახელმწიფოს გამმიჯნავი კედელი.

1962: უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა დადგენილება 22-სიტყვიანი ლოცვის შესახებ, რომელიც ყოველდღე უნდა აღევლინათ მეცადინეობის დაწყების წინ ნიუ-იორკის შტატში. სასამართლომ დაადგინა, რომ „მთავრობის საქმიანობაში არ შედის შეადგინოს ოფიციალური ლოცვა ნებისმიერი ჯგუფისათვის... ანდა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ რელიგიურ პროგრამაში“.

ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, აგრეთვე გულისხმობს, რომ არავითარი რელიგიური ფუნქცია არ შეიძლება დაუკავშირდეს რაიმე საზოგადოებრივ ინსტიტუტს, ანდა კერძო ინსტიტუტის (დაწესებულების) ნებისმიერ მხარეს, რომელიც აგებულ იქნა საზოგადოებრივი სახსრებით და ამავე სახსრებს ეყრდნობა მისი მოვლა. მაგალითად, 1971 წელს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დასაშვებია დახმარება — ფედერალური, ან ცალკე შტატისაგან — სასწავლებლად განკუთვნილ შენობათა მიმართ, რომლებიც ეკლესიებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე სხვა კერძო კოლეჯების შენობებისა, მაგრამ ეს შენობები არასოდეს არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ რაიმე რელიგიური მიზნისათვის. ასეთი გამიჯვნა ნიშნავს აგრეთვე, რომ არავითარი საზოგადოებრივი ცერემონიალი არ უნდა შეიცავდეს რელიგიურ მსახურებას. მაგალითად, ცერემონია, რომელიც თან ხლდება სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას, არ შეიცავს რელიგიურ მსახურებას, მაგრამ კერძო უნივერსიტეტის გახსნისას ასეთი სამსახურის ჩატარება შეიძლება.

შეერთებული შტატების ეს უძველესი პრინციპი — ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის — განმტკიცებული პრინციპია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში — საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, სკანდინავიაში და ა. შ. ყველგან ერთია, თუმცა არსებობს მისი ნაირსახეობებიც. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ძველი ეკლესიების აღსადგენად და მოსავლელად, რომლებიც ეროვნულ ძეგლებად არის მიჩნეულნი. შობა საერთოდ საზოგადოებრივი დღესასწაულია; ნიუ-იორკში არაქრისტიან სახელმწიფო მოსამსახურეს შეუძლია დაისვენოს საკუთარი რელიგიური დღესასწაულების დროს — ეს ეხება ებრაელებს — ებრაული აღდგომის დღეებში, ანდა ჩინელებს — ჩინური ახალი წლის დღეებში.

და მართლაც, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა რჩება დემოკრატიის ერთ-ერთ ბურჯად, ვინაიდან, სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი რელიგია აუცილებლად იწვევს დაუშვებელ ჩაგვრას და მთავრდება რელიგიურ გრძნობათა გაქრობით. მაგალითად, ფრანკოს მმართველობის პერიოდში, ესპანეთში განსაკუთრებით აუცილებელი იყო ეკლესიის ღვთისმსახურების დასწრება. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ხალხი თავის არიდებას ცდილობდა და რელიგიური შეგრძნება გაცილებით შესუსტდა.

მართლმადიდებლობის დღევანდელი აღორძინება საქართველოში ადვილი გასაგებია 70-წლიანი „კომუნიზმის“ შემდეგ, რაც სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილ რელიგიად იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, მე მჯერა და იმედი მაქვს, რომ ახალი საქართველოს მთავრობა მტკიცედ გაატარებს ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრინციპს, რაც შევა ახალ კონსტიტუციაში — როგორც ეს იყო 1918-1921 წ.წ. პირველ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკაში.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ოფიციალური განცალკევება ხელს შეუწყობს დემოკრატიულ ღირებულებათა განმტკიცებას, გააძლიერებს პირად ღვთისმსახურებას და უჩვენებს ბევრ ქართველს — მაჰმადიანური, იუდაისტური თუ სხვა რწმენისას, რომ თავისუფალი საქართველო, მართლაც ყველა ქართველისათვისაა — როგორიც უნდა იყოს იგი, რათა გადარჩეს და გაიფურჩქნოს.

რეჯებ ჟორდანია.

კრიმინალური ქრონიკა

6-დან 9 დეკემბრამდე

ნათქვამია, ეკლესიის კარი ღია რომ იყოს, ძაღლს ნამუსი უნდა ჰქონდესო. ე. ი. შიგ არ უნდა შევიდესო. ცოტა ძნელია, მძარცველსა და ყაჩაღს ნამუსი მოსთხოვო, მაგრამ მაინც... 84 წლის დედაბერი ვერ უნდა გაიმეტოს გასაკოჭად.

●

6 დეკემბერს, დღის 3 საათზე სამი დაუდგენელი ბოროტმოქმედი მოტყუებით შევიდა თბილისის ცოტნე დადიანის (ყოფილი ოქტომბრის) ქუჩის მეორე მიკრორაიონის მეორე კორპუსში მცხოვრებ აკაკი შერაზადაშვილის ბინაში, მათ გათოკეს დედამისი — 1906 წელს დაბადებული მატრონა სხირტლაძე და სახლიდან გაზიდეს სხვადასხვა ძვირფასეულობა.

იმავე ღამით ლაგოდეხში პისტოლეტით შეიარაღებული ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ გრანტ სიმონიანის საცხოვრებელ სახლს, შეკრეს სახლის პატრონი და მოკვლის მუქარით გაიტაცეს 50.000 მანეთის ღირებულების სამპროცენტიანი ობლიგაციები, 2700 მანეთი ფული, 3 იაპონური წარმოების მაგნიტოფონი, ოქროს სამკაულები და საოჯახო ნივთები.

●

9 დეკემბერს ღამით ქუთაისში რუსთაველის ქუჩა № 10 სახლის ეზოში მოხდა დაუდგენელი ნივთიერების აფეთქება, რის შედეგადაც დაზიანდა ავტოსადგომის კედელი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა ანონიმური წერილი, ამ სახლში მცხოვრები ნოდარ ლილუაშვილის სახელზე, რომელიც მუშაობს ადგილმრეწვის სამკერვალო საამქროს უფროსად. წერილში დაუდგენელი ბოროტმოქმედნი მუქარით მოითხოვდნენ ლილუაშვილისაგან ფულის გადაცემას.

●

არ ცხრება თურქეთში ტურისტულ-სავაჭრო მოგზაურობის ბუმი. გახშირდა თურქეთიდან დაბრუნებულ მოქალაქეთა ძარცვის შემთხვევებიც. მაგალითად, 7 დეკემბერს ღამის 3 საათზე ქალაქ ქუთაისში გორის ქუჩაზე უნივერსამთან გაჩერებული ავტობუსიდან, რომელიც თურქეთიდან ბრუნდებოდა, სხვა მგზავრებთან ერთად ჩამოვიდნენ მოქალაქეები კახა იობიძე, ლოლა ბოლქვაძე და ნინო ბოლქვაძე, რომლებიც იქვე ჩასხდნენ უნომრო შინდისფერ ავტომანქანა ვაზ-2108-ში და წავიდნენ სახლში. გზად მათ წინ გადაუდგა მუქი ჩალისფერი უნომრო ავტომანქანა ვაზ-2109, საიდანაც გადმოვიდა ოთხი ახალგაზრდა. მათ ავტომანქანიდან გადმოსვეს კახა იობიძე, ლოლა და ნინო ბოლქვაძეები, რომელთა ჩანთებიც გადაალაგეს თავიანთ ავტომანქანაში, შემდეგ კ. იობიძესა და ნ. ბოლქვაძეს გახადეს ქურთუკები, რის შემდეგ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი მიუჯდა ავტომანქანა ვაზ 2108-ის საჭეს, დატოვა ამ ავტომანქანის პატრონი და სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად მიიმალა. დაზარალებულებმა დარჩენილი მძღოლი მიიჩნიეს საეჭვოდ და შეეცადნენ მის დაკავებას, მაგრამ იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

●

ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ხულიგნობის რამდენიმე შემთხვევას. 6 დეკემბერს 17 საათზე ბოლნისში, საქართველოს კომპარტიის რაიკომის შენობის მესამე სართულს დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ესროლა სანადირო თოფი, რის შედეგადაც რაიკომის მდივნის კაბინეტში ჩაიმსხვრა 3 ფანჯარა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნენ ბოლნისის მცხოვრებნი წინათ ნასამართლევი 1967 წელს დაბადებული თემურ მუშკუდიანი და 1967 წელს დაბადებული ბესიკ ახვლედიანი, რომელთაც ჩამოართვეს 2 ცალი ორლულიანი 16-კალიბრიანი სანადირო თოფი.

●

გაოცებას იწვევს ზოგიერთი მოქალაქის, მათ შორის თანამდებობის პირის თვითნებობა. ამ დღეებში თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა ამხილეს სოფელ ტბისის მეურნეობის დირექტორი მალხაზ ბეგიაშვილი, რომელმაც თოფით დახოცა სოფელ გოლთეთის მცხოვრებთა 6 ღორი: ჩამორთმეულია მცირე კალიბრიანი შაშხანა.

●

თითქოს ადგილობრივი ბოროტმოქმედები გვაკლდეს, ქვეყნის სხვა რეგიონებიდანაც ბევრი ჩამოდის საქართველოში ხელის მოსათბობად ან რაიმე სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩასადენად.

●

7 დეკემბერს ლვოველმა ალექსანდრე შელიაგინმა სოხუმში გატეხა რაიონული გაზეთის განყოფილების გამგის სვეტლანა ქარჩავას ბინა, საიდანაც მოიპარა 1000 მანეთი ფული და იაპონური წარმოების მაგნიტოფონი.

●

8 დეკემბერს № 208 თბილის-კიევის მატარებლის № 15 ვაგონის გამცილებელმა კიეველმა ივანე გლუშენკომ და ამავე მატარებლის ელექტრომექანიკოსმა მიხეილ სტოლეტნიმ, რომლებიც ნასვამები იყვნენ, ჩხუბი აუტეხეს მატარებლის ბრიგადირსა და მგზავრებს. ჩხუბის დროს მათ გამოიყენეს მომწამვლავი ნივთიერების „სი-ეს“-ის ბალონი. ბრიგადირმა და მგზავრებმა მიიღეს მსუბუქი მოწამვლა, გლუშენკო და სტოლეტნი დაკავებული არიან.

●

გრძელდება მილიციის აქტიური საქმიანობა სავაჭრო ობიექტებში საქონლის გადამალვისა და მომხმარებელთა მოტყუების ფაქტების გამოსავლენად.

●

6 დეკემბერს ქალაქ გორის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა შეამოწმეს ქალაქვაჭრობასთან არსებული ომის ინვალიდთა მაღაზია, რომელშიც აღმოჩნდა იმპორტული და სამამულო წარმოების 6900 მანეთის ღირებულების გადამალული სასურსათო საქონელი.

მილიციის მუშაკებმა საქონლის გადამალვის ფაქტები აღმოაჩინეს აგრეთვე ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის, გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის და სხვა მაღაზიებში.

●

6 დეკემბრიდან 9 დეკემბრამდე რესპუბლიკაში მოხდა სისხლის სამართლის 100 დანაშაული, 2 მკვლელობა, 4 სხეულის დაზიანება, ერთი გაუპატიურება, სახელმწიფო ქონების 11 ქურდობა. მოქალაქეთა პირადი ქონების 28 ქურდობა, გატაცებული იქნა 19 ავტომანქანა, მოხდა 42 ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელთაც 10 კაცის მსხვერპლი მოჰყვა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

სს „საქართველო“

საფრთხე

შიდსი:

საჭიროა საგანგებო ზომები

შიდსი, რომელიც პირველად ოფიციალურად 1981 წელს იქნა რეგისტრირებული, კატასტროფული სისწრაფით ვრცელდება და რეალურ საფრთხეს უქმნის მსოფლიო ცივილიზაციას. დაავადებულთა რაოდენობამ უკვე 280 ათასს გადააჭარბა, ხოლო ინფიცირებულთა რიცხვმა 8 მილიონს მიაღწია. წინასწარი გამოთვლებით 2000 წლისათვის მსოფლიოში 5-6 მილიონი შიდსით ავადმყოფი და 15-20 მილიონი ინფიცირებული იქნება. საბჭოთა კავშირში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 559 ადამიანი და, თუ საგანგებო ზომები არ იქნება მიღებული, მათი რიცხვი 2000 წლისათვის 1 მილიონს, ხოლო 2006 წლისათვის რამდენიმე ათეულ მილიონს მიაღწევს.

საქართველოში სადღეისოდ გამოვლენილია შიდსის ვირუსით ინფიცირებული 5 უცხოელი და 4 ადგილობრივი მოქალაქე, რომელთაგან 2 უკვე გარდაიცვალა. გარდა ამისა, შიდსზე საეჭვო რამდენიმე პირს უტარდება დამატებითი გამოკვლევები.

ჩვენთან მოქმედი წესით, საქართველოში ხანგრძლივი დროით ჩამოსული ყველა უცხოელი მოქალაქე უნდა შემოწმდეს შიდსზე. სინამდვილეში მათი ნაწილი გამოუკვლევი რჩება, რადგან სხვადასხვა უწყებები და ორგანიზაციები, პირველ რიგში — განათლების სამინისტრო, არ გვაწვდიან სრულ მონაცემებს მათ სისტემაში ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების შესახებ და ვერ უზრუნველყოფენ ყველა მათგანის გამოცხადებას სისხლის ასაღებად. ამავე მიზეზით არ ხდება საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებული ყველა პირის შიდსზე გამოკვლევა.

საგულისხმოა, რომ შიდსის ვირუსით ინფიცირებული ოთხივე მოქალაქე ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობდა რესპუბლიკის გარეთ და იქ დასნებოვნდა, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან, განსაკუთრებით მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩამოსული მოქალაქეები, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულ პირებთან ერთად, მივაკუთვნოთ შიდსზე მომეტებული რისკის ჯგუფს.

საქართველოსათვის შიდსის გავრცელების გრძელვადიანი პროგნოზი არა გვაქვს, მაგრამ საბჭოთა კავშირისთვის შედგენილი პროგნოზის ექსტრაპოლირების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 2000 წლისათვის 20 ათასს, ხოლო 2010 წლისათვის რამდენიმე ასეულ ათასს მიაღწევს. ეს საშინელი პროგნოზი რეალობად რომ არ იქცეს, გადაუდებლად, ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ პრობლემა, დავსახოთ შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო ღონისძიებები.

ამერიკაში შიდსი ძირითადად ვრცელდება ჰომოსექსუალური, აფრიკაში ჰეტეროსექსუალური კავშირებით, იტალიასა და საფრანგეთში შიდსით ავადმყოფთა შორის ჭარბობენ ნარკომანები. საბჭოთა კავშირში შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა ნახევარზე მეტი სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისას არასტერილური შპრიცებისა და ნემსების გამოყენების შედეგად დასნებოვნდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვირუსის გადაცემის ეს ყველაზე არაცივილიზებული, სამარცხვინო გზა საბჭოთა კავშირისათვის ძირითადია და შიდსით დასნებოვნების მთავარი საფრთხე სწორედ სამედიცინო დაწესებულებებშია.

საქართველოში ჯერჯერობით სამედიცინო მანიპულაციების დროს შიდსით დასნებოვნების არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა რეალურად არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დიდი ძალისხმევით, ერთჯერადი გამოყენების შპრიცების და ნემსების გარკვეული რაოდენობის შემოტანის მიუხედავად (სხვა რესპუბლიკებში ესეც არა აქვთ), მათი რაოდენობა არასაკმარისია, ხოლო ერთჯერადი ხმარების სხვა სამედიცინო ნაკეთობები პრაქტიკულად არა გვაქვს. თბილისში, სხვა ქალაქებსა და რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, ცენტრალიზებული სასტერილიზაციო განყოფილებებით სამედიცინო დაწესებულებების მხოლოდ 25 პროცენტია აღჭურვილი. არცთუ იშვიათად ირღვევა ინსტრუმენტების სტერილიზაციის წესები.

ამიტომ, პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული ერთჯერადი გამოყენების შპრიცების, ნემსებისა და სხვა სამედიცინო ნაკეთობათა, მათ შორის (აუცილებლად!) სტომატოლოგიური ინსტრუმენტების საზღვარგარეთ საკმარისი რაოდენობით შეძენა, ხოლო პერსპექტივაში — ჩვენს რესპუბლიკაში მათი წარმოების დაგეგმვა.

შიდსით დასნებოვნების საფრთხე არსებობს აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთ ობიექტში, მაგალითად, საპარიკმახეროებში, რომლებიც არ არის სათანადოდ აღჭურვილი ერთჯერადი ხმარების ინსტრუმენტით და სასტერილიზაციო აპარატურით.

საქართველომ, პირველმა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ჯერ კიდევ 1986 წლიდან დაიწყო მოსახლეობის მასობრივი გამოკვლევა შიდსზე. უკვე 980 000-ზე მეტი გამოკვლევაა ჩატარებული. უზრუნველყოფილია სისხლის დონორთა პრაქტიკულად 100 პროცენტიანი შემოწმება შიდსზე. მეტნაკლებად მოგვარებულია ორსულების, ვენდაავადებულთა, ცხელებიანი ავადმყოფების და ზოგიერთი სხვა კონტინგენტის გამოკვლევა. ამავე დროს სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ნარკომანების, განსაკუთრებით კი ჰომოსექსუალისტების და მეძავეების შიდსზე გამოკვლევის მხრივ. არადა, ამ ჯგუფებში შიდსით დასნებოვნების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია. საქმე ის არის, რომ ჰომოსექსუალიზმი, მეძავობა და ნარკომანია ჩვენთან კანონით ისჯება, ამიტომ ეს პირები ნებაყოფლობით გამოკვლევას თავს არიდებენ; აქტიური გამოვლენა კი გაძნელებულია, რადგან მათი ზუსტი აღრიცხვა ფაქტობრივად არ ხდება. ამ კონტინგენტში შიდსის გავრცელების პროფილაქტიკის ჩვენთან მიღებული მეთოდები ემყარება შემთხვევითი სქესობრივი კავშირებისაგან თავის შეკავებისაკენ მოწოდებებს და ჰომოსექსუალიზმის, მეძავეობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ „ბრძოლის გაძლიერებას". შედეგი საწინააღმდეგოა. ზემოთ დასახელებული პირები მაქსიმალურად კონსპირირებულად მოქმედებენ და კიდევ უფრო სახიფათონი ხდებიან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეძავობა დასაბამიდან არსებობს და ამ ბიოლოგიურ-სოციალური ფენომენის გაქრობის დრო, როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა; ხოლო ნებითი გადაწყვეტილებებით ან ძალისმიერი მეთოდებით მათი ლიკვიდაციის ყველა ცდა უშედეგო გამოდგა. ამიტომ, იქნებ, ვენდოთ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას და მოვახდინოთ მეძავობის ლეგალიზაცია. ვფიქრობ, ამის შედეგად ამ პირების რიცხვი არ მომატებს, ხოლო შიდსზე კონტროლის შესაძლებლობა კი რეალური გახდება. ნარკომანიასთან შერიგება, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მაგრამ აქაც შეიძლება შიდსის პროფილაქტიკის ჰუმანური მეთოდების გამოყენება, მაგალითად, ერთჯერადი ხმარების შპრიცებისა და ნემსების უფასოდ დარიგება.

დროა, აგრეთვე, შემთხვევითი სქესობრივი კავშირების აკრძალვის მოწოდება შევცვალოთ ეგრეთწოდებული „უსაფრთხო სექსის" პროპაგანდით, რაც გულისხმობს პრეზერვატივების გამოყენებას და სქესობრივი ჰიგიენის ნორმების დაცვას. ცხადია, „უსაფრთხო სექსის" პროპაგანდა მიზანს ვერ მიაღწევს, თუ რესპუბლიკა არ იქნა უზრუნველყოფილი სათანადო რაოდენობის პრეზერვატივებით.

შიდსთან ბრძოლის რესპუბლიკურ ცენტრს, შენობის უქონლობის გამო, უკიდურესად მძიმე პირობებში უწევს მუშაობა. ჯანდაცვის სამინისტრო ყველა ღონეს ხმარობს შენობის გამოსანახად, მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ დროებითი გადაწყვეტა იქნება, ვინაიდან შიდსზე ყველა საჭირო გამოკვლევის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური პროექტით აშენებულ კომპლექსში, რომლის დაგეგმვა და მშენებლობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში ასეთი კომპლექსები უკვე შენდება უცხოური ფირმების მონაწილეობით.

იმპორტული დიაგნოსტიკუმებისა და ქიმიური რეაქტივების უქონლობის გამო სისხლის გამოკვლევა შიდსზე ძირითადად სრულდება საბჭოთა წარმოების უხარისხო ტესტ-სისტემების საშუალებით, რაც ზრდის სერიოზული შეცდომების ალბათობას. ამავე მიზეზით რესპუბლიკაში ხდება სისხლის შიდსზე მხოლოდ წინასწარი სკრინინგული გამოკვლევა, შემდეგ ყველა საეჭვო სისხლის შრატი (წელიწადში რამდენიმე ათასი) დამატებით გამოკვლევისათვის სისტემატურად იგზავნება ქ. მოსკოვში, რაც, ვფიქრობ, სავსებით მიუღებელია. უთუოდ უნდა გამოიძებნოს ვალუტა იმპორტული აპარატურისა და ტესტ-სისტემების, დიაგნოსტიკუმების შესაძენად. მხოლოდ მაშინ მოხერხდება რესპუბლიკაში შიდსის საიმედო დიაგნოსტიკა.

შიდსის დროული გამოვლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია. საჭიროა უმოკლეს დროში შიდსთან ბრძოლის რესპუბლიკურ ცენტრთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან, აგრეთვე ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში შეიქმნას ეფექტიანი ინფრასტრუქტურა რესპუბლიკის ყველა ექიმისა და საშუალო მედპერსონალის მოსამზადებლად, მათი შემდგომი აუცილებელი ატესტაციით.

შიდსის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაა მოსახლეობასთან სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რაც ჩვენთან სუსტადაა ორგანიზებული. ამ პროგრამების წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ჰუმანიტარულ ასოციაცია „კათარზისს" და ახლად შექმნილ ასოციაცია „ბეტას".

უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ მიზანდასახული საგანმანათლებლო მუშაობის (და არა აკრძალვებისა და რეპრესიების) შედეგად მკვეთრად შემცირდა მეძავობა, ჰომოსექსუალისტთა შორის მრავალპარტნიორობა. ყველა ჰომოსექსუალისტს, მეძავს და ნარკომანს იკვლევენ შიდსზე.

უაღრესად რთულია შიდსით ავადმყოფების საზოგადოებასთან და პირველ რიგში მედიცინის მუშაკებთან ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეთიკური ასპექტები. საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ მთელს მსოფლიოში არაერთგვაროვანია. ნაწილი მომხრეა, რომ შიდსის ვირუსით ინფიცირებულები იმყოფებოდნენ მკაცრი კონტროლის ქვეშ, მათ მიმართ, კეთროვანების ანალოგიურად, გატარდეს გარკვეული შეზღუდვები სრულ იზოლაციამდეც კი. სხვები ავადმყოფთა მიმართ მკაცრი ზომების გატარებას პიროვნების უფლებების შელახვად თვლიან და დაუშვებლად მიიჩნევენ. ისინი მოუწოდებენ საზოგადოებას მაქსიმალური შემწყნარებლობისა და გულმოწყალებისაკენ. ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობამ ოფიციალურად, საკანონმდებლო დონეზე, მეორე — ავადმყოფთან ჰუმანური დამოკიდებულების გზა აირჩია.

საბჭოთა კავშირში ზემოთ აღნიშნული საკითხი ჯერ-ჯერობით რეგულირდება 1987 წლის 25 აგვისტოსა და 1990 წლის 23 აპრილის საკავშირო საკანონმდებლო აქტებით. მათში ბევრი რამ მისაღებია, მაგრამ ზოგი პუნქტი სადავოა და სრულყოფას მოითხოვს; ამიტომ საქართველოს პარლამენტმა უნდა განიხილოს და მიიღოს საკუთარი კანონი შიდსის პროფილაქტიკის შესახებ. ვფიქრობთ, იგი ასევე ჰუმანური უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვით ყოველგვარ რეპრესიებზე და არ უნდა შევქმნათ საწინააღმდეგო პრეცედენტი, თუნდაც ისეთი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, როგორიც შიდსის ეპიდემიის თავიდან აცილებაა.

საქართველოში შექმნილი შიდსთან ბრძოლის სპეციალიზებული სამსახურის ძალისხმევით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ სამსახურს მისი დღევანდელი სახით მეტის გაკეთება არ შეუძლია და რესპუბლიკაში შიდსთან ბრძოლის გლობალურ პრობლემებს ვერ გადაჭრის. საჭიროა მისი პრინციპული გარდაქმნა ორი ძირითადი მომენტის გათვალისწინებით: პირველი—შიდსის გავრცელების საწინააღმდეგოდ გასატარებელ ღონისძიებათა ნაწილი შორს ცდება ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს და მხოლოდ საერთო ეროვნული ძალისხმევით შეიძლება გადაწყდეს. მეორე — განახლებას საჭიროებს თვით შიდსის საწინააღმდეგო სამედიცინო სამსახური.

საქართველოში უნდა შეიქმნას შიდსთან ბრძოლის ეროვნული კომიტეტი. კომიტეტი კოორდინირებას გაუწევს სხვადასხვა სამინისტროების, უწყებების, სამსახურების და საზოგადოებების საქმიანობას და უფლებამოსილი უნდა იყოს გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი.

უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს შიდსთან ბრძოლის ეროვნული პროგრამა და მიენიჭოს მას უპირველესი სახელმწიფო პრიორიტეტი. ჯანდაცვის სამინისტრო ამჟამად ამზადებს პროგრამის პროექტს.

საქართველოში შიდსის ეპიდემიის თავიდან აცილების საგანგებო ზომები მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ გამოიძებნება საჭირო ასიგნებანი, მათ შორის ვალუტით. მსოფლიოში ჯერ არც ერთი სერიოზული პროგრამა წარმატებით არ შესრულებულა სათანადო დაფინანსების გარეშე. ამერიკის შეერთებულ შტატებში მარტო შიდსზე კვლევითი სამუშაოებისათვის წელიწადში იხარჯება 1 მილიარდი დოლარი. საბჭოთა კავშირში კი სულ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

შიდსის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის აუცილებლობას სიტყვით არავინ უარყოფს, მაგრამ საქმით თავს იკავებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ რესპუბლიკის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში ამ სახსრების გამოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. უაღრესად ძლიერი არგუმენტია, მაგრამ ვფიქრობთ, ვინც ასე მსჯელობს, არა აქვს ბოლომდე გაცნობიერებული ის საფრთხე, რომელსაც შიდსის ეპიდემია შეუქმნის ქართველ ერს.

შიდსის ეპიდემიით მიყენებულმა ეკონომიკურმა ზარალმა ამერიკის შეერთებულ შტატებში სადღეისოდ 80 მილიარდამდე დოლარი შეადგინა, ხოლო საუკუნის ბოლომდე მიაღწევს ტრილიონ დოლარს. ვარაუდობენ, რომ საბჭოთა კავშირში შიდსის ეპიდემიასთან დაკავშირებით ხარჯები 2000 წლის შემდეგ ყოველწლიურად 3 ტრილიონამდე ამერიკულ დოლარს მიაღწევს, რაც 1989 წლის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობას აღემატება. ამდენად, შიდსის ეპიდემია არა მარტო დიდ სოციალურ უბედურებას მოგვიტანს, არამედ მოახდენს ეკონომიკის სრულ დესტაბილიზაციას, რაც კატასტროფით შეიძლება დამთავრდეს. შეიძლება ითქვას, რომ შიდსთან ბრძოლის პროგრამაში დღეს არჩადებული თითოეული მანეთი 10 წლის შემდეგ ათეული ათასი მანეთი დაგვიჯდება.

ხშირად გვეკითხებიან, შევძლებთ თუ არა საგანგებო ზომების მიღებისა და საკმარისი დაფინანსების შემთხვევაში შიდსის ეპიდემიის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, ვერა. ეს ვერ შესძლო მსოფლიოს ვერც ერთმა ცივილიზებულმა ქვეყანამ. მაგრამ უეჭველია, რომ მნიშვნელოვნად შევამცირებთ ეპიდემიის მასშტაბებს. გავიხსენოთ, რომ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, სადაც შიდსის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის სახსრებს არ იშურებენ, მართალია, ათასობით შიდსით ავადმყოფია, მაგრამ მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება და ერს განადგურება არ ემუქრება. ხოლო ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც საჭირო სახსრები არა აქვთ, შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი მოსახლეობის 40 პროცენტამდე აღწევს, და იქაურ ხალხებს ამოწყვეტა ელით.

პრობლემები, როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრია და მათი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მთელი ქართველი ხალხის ერთიანი ძალისხმევით.

თ. ცერცვაძე,
შიდსთან ბრძოლის და პროფილაქტიკის რესპუბლიკური ცენტრის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

საკუთარ სახლში

ხანძარი სოხუმში

გუშინ ღამის სამ საათზე, სატვირთო მატარებელი №3502 სოხუმის სადგურიდან გავიდა. განმანაწილებელ ისარზე მოულოდნელად ლიანდაგს ასცდა და გადატრიალდა „აი-76" ბენზინით სავსე ერთი 53-ტონიანი ცისტერნა. მას მეორეც მიჰყვა. ამ მომენტში ჩამოინგრა ელექტრომომარაგების საყრდენი, გავარდა ნაპერწკალი, რომელმაც გამოიწვია ხანძარი — ცეცხლი მოედო საწვავით სავსე ორივე ცისტერნას.

კრიზისულ სიტუაციაში, მატარებლების შემდგენელმა ვლადიმერ რურუამ და უსაფრთხო მოძრაობის რევიზორმა ომარ გულბანიმ, რისკის ფასად მიბმული ცისტერნები ხელით გადახსნეს, რამაც მემანქანე ლავრენტი მიქაძეს შესაძლებლობა მისცა უსაფრთხო ზონაში გაეყვანა საწვავით სავსე კიდევ 14 ცისტერნა. იმარჯვა სადგურის მორიგემ თემურ წეროძემაც.

შემთხვევის ადგილას სწრაფად მოვიდნენ მეხანძრეები სოხუმის აეროპორტიდან. აამოქმედეს თოთხმეტივე საბრძოლო რაზმი. ხანძრის ჩაქრობას პროფესიულად ხელმძღვანელობდნენ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის განყოფილების უფროსი უშანგი ანიაშვილი და №21 სახანძრო ნაწილის უფროსი რომან გახოკიძე.

გააფრთხილეს და ევაკუაციისათვის მოამზადეს გვერდით მდებარე ცხრასართულიანი სახლების მობინადრენი.

საბედნიეროდ, ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. შემთხვევის მიზეზი? წინასწარი მონაცემებით, ეს არის ძველი რელსები, რომლებმაც მძიმედ დატვირთულ ცისტერნებს ვერ გაუძლეს. ზარალი შეადგენს დაახლოებით 130 ათას მანეთს. სატრანსპორტო პროკურატურამ მომხდარი ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

სს „საქართველოს" საკუთარი ფოტოკორესპონდენტის ბორის ალექსანდრიას ტექსტი და ფოტო.

მნიშვნელოვანი სიახლე

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის წარმოებაში დაინერგა მნიშვნელოვანი სიახლე, ტიტანმანგანუმის ანოდები. ეს სიახლე განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროქიმიის კათედრის მეცნიერთა კოლექტივის ძალისხმევით.

გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ კერვალიშვილმა თქვა: — ძირითადი კომპონენტის წარმოებაში ანოდის ბუნებასა და კონსტრუქციის პრობლემის სწორ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის წარმოების პროცესი და ხარისხი. ქართველ მეცნიერთა ახალ ნამუშევარს მრავალი წლის ფუნდამენტური გამოკვლევები უძღოდა წინ. მათი მეშვეობით გახდა შესაძლებელი შემუშავებულიყო მასალები, რომლებიც სრულად უპასუხებენ ძირითად ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, ესე იგი აქვთ დიდი ელექტროქიმიური აქტიურობა, კოროზიაგამძლეობა, მექანიკური სიმტკიცე. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გაერთიანების მონაწილეობით შემუშავდა დამზადების კონსტრუქცია და ათვისებულია მისი წარმოება.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ერთობლივმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს აგრეთვე პრინციპული შესაძლებლობანი ისეთი ტექნოლოგიის შექმნისა, რომლითაც ჟანგის მისაღებად მანგანუმის მადანი უშუალოდ გადამუშავდება ელექტროქიმიურ რეაქტორში.

ეს საშუალებას იძლევა გაფართოვდეს წარმოების ნედლეულის ბაზა, რასაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც მთავარია, სპობს გარემოს გაჭუჭყიანების ერთ-ერთ ძირითად წყაროს — მაღალი ტემპერატურის დროს მადნის ალმდგენ გამოწვას.

ამჟამად ახალი პროცესის ტექნოლოგიური ასპექტების დამუშავებაც ერთობლივად მიმდინარეობს გაერთიანების სპეციალისტებთან ერთად.

...უკვე რამდენიმე წელია გაერთიანების კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს, როგორც პროდუქციის მოცულობის, ისე ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით, მთელი გაგზავნილი ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგი საუკეთესო და პირველი ხარისხისაა. შესაბამისად გაუმჯობესდა საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. მრავალი წლის მანძილზე ჩამორჩენილი ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის წარმოება წამგებიანიდან მომგებიანი გახდა.

დავით ბიწაძე,
ჩვენი საკ. კორ.

წერილები რედაქციას

განცხადება

როგორც პრესის თანამშრომელს, საშუალება მომეცა დავსწრებოდი მწერალთა კავშირში 8 დეკემბერს შეხვედრას ეროვნული კონგრესისა და უზენაეს საბჭოს წარმომადგენელთა შორის.

ფართო საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია ის, თუ რა შეთანხმებები იქნა მიღწეული დღევანდელისათვის, ასევე, თუ რა კონსტრუქციული ნაბიჯები გადაიდგა ამ ორი არჩევითი ორგანოს შემდგომი თანამშრომლობისათვის.

მიღწეული შეთანხმებებიდან გამოვყოფ უზენაესი საბჭოს მხრიდან მათი პოლიტიკური ოპონენტებისთვის აღთქმულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების სრული თავისუფლების გარანტიას.

ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და ყველა ჩვენთაგანისათვის დიდად გასახარი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ყურადღება არავის გაუმახვილებია იმაზე, თუ რა უფლებები განესაზღვროს ცალკეულ შიდაპარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თვითგამოცემით ლიტერატურას, ექნებათ თუ არა ამ ტიპის გამოცემებს ტექნიკური აღჭურვილობანი, სტამბა, ქაღალდი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა.

მართალია, უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის მიერ დაშვებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების სრული თავისუფლება და იგი გვეუბნება: მობრძანდით, გამოდით რადიო-ტელევიზიით, ილაპარაკეთ რაც გსურთ და ასევე ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდეთ ნებისმიერ რაც გნებავთო, მაგრამ რა ვუყოთ ამ დროს შიდაპარტიულ პრესას? სად და როგორ, რა საშუალებებით გამოვცეთ იგი?

ამიტომ მიმაჩნია:

რამდენადაც საქართველოში კომპარტიის დამარცხებისათვის ბრძოლაში მარტო დღევანდელი უზენაესი საბჭოს ხელისუფლნი კი არ მონაწილეობდნენ, არამედ იმ ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალების ოფლი და სისხლიც ჭარბად ითხია, ვინაც კვლავ ოპოზიციაში დარჩა და დღეს ეროვნულ კონგრესს წარმოადგენს, ამიტომ უზენაესი საბჭოს მიერ იმ მატერიალური მემკვიდრეობის სრული მონოპოლიზება, რომელიც კომპარტიისაგან დარჩა, სხვა თუ არაფერი, მორალურად გაუმართლებელია.

და მოვითხოვ:

თუ ცალ-ცალკე ყველა ამ დღეში მყოფ ორგანიზაციას არა, საქართველოს ეროვნულ კონგრესს მაინც თავის მუდმივ დაქვემდებარებაში გადაეცეს რომელიმე ისეთი სტამბა, რომლის გამტარუნარიანობა დააკმაყოფილებს როგორც თვით კონგრესის, ასევე მასში შემავალი ორგანიზაციების საგამომცემლო მოთხოვნილებებს, აგრეთვე სახელმწიფო ფონდიდან შესასყიდად მოგვეცეს ქაღალდის საკმარისი რაოდენობა და გამოგვეყოს ტრანსპორტი.

შუკო ჯაძია,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „მოამბის" მთავარი რედაქტორი.
1990წ. 9 დეკემბერი

„ზემოთ და ქვემოთ"...

ძვირფასო კოლეგებო! უპირველეს ყოვლისა, სულით და გულით გილოცავთ დაფუძნებას და პირველ მტკიცე ნაბიჯებს, ამასთან, მინდა გჯეროდეთ ჩემი გულწრფელობის — როგორც „მამულის" დაარსების მოწმემ და მონაწილემ, კარგად ვიცი, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ახალი გაზეთის დაბადება, ამიტომ პასუხისმგებლობას დეზინფორმაციის გამო, რომელიც საბჭოთა პრესის მრავალნაცადმა მუშაკმა ერთი კვირის დაარსებულ გაზეთში გაასაღა, პირადად მე ვაკისრებ მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორს და არავითარ შემთხვევაში — რედაქციას!

როგორც ცნობილია, პრესის კანონი სჯის ყოველგვარ ტყუილსა და ცილისწამებას, ვთქვათ, ისეთს, როგორიც წერია ია ბაგრატიონ-მუხრანელის წერილში „კოლეგებო, დაბრუნდით... ბრძოლა გრძელდება!" („საქართველოს რესპუბლიკა", 9 დეკემბერი, 1990 წ.).

გთხოვთ, თვალი გადაავლოთ წერილის ერთ ნაწყვეტს: „1987 წლის 9 ივნისს გამოქვეყნდა ისტორიკოს ზეიმალის წერილი, რომელშიც ანტიმეცნიერულად და პროვოკაციულად ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო, ერთი მხრივ ქართველები, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მიერ „დაჩაგრული" მეგრელები, „სვანები და სხვა პატარა ხალხები". **მოვახერხე თუ არა ქართველ მეცნიერთა საპასუხო წერილი დამებეჭდა, მაშინვე „ლიტერატურულმა საქართველომ" — ისევ ზემოდან მითითებით — გამოაქვეყნა ტ. ჯანტურიას „ღია წერილი",** რომელიც რატომღაც „სოვეტსკაია კულტურას" რედაქტორს კი არა, მის საკუთარ კორესპონდენტს მეძღვნებოდა. მასში ავტორი შეეცადა დავედანაშაულებინე ლენინგრადიდან გამოგზავნილი წერილის პუბლიკაციაში".

აი, ეს გახლავთ, ძვირფასო კოლეგებო, უხამსი ტყუილი.

ზეიმალის წერილი დაიბეჭდა არა 1987 წლის 9 ივნისს, არამედ 1988 წლის 9 ივლისს. როგორ გგონიათ, შეეშალა? არ დაიჯეროთ! ეს წლებიცა და თვეებიც საგანგებოდაა არეული: თუ რომელიმე დაინტერესებულმა მკითხველმა სცადა, მართლა მოძებნოს როგორც ზეიმალის წერილი, ისე ჩემი პასუხი, მან ისინი, ნაცვლად 1988-ისა, უნდა 1987 წლის გაზეთის კომპლექტში ეძებოს. ცხადია, ვერ იპოვის, ერთს ხელს ჩაიქნევს და თავს გაანებებს. აი — ია მუხრანელის მიზანი, აი, რა მოსაზრებით შეცვალა მან წელი და თვე. ეს საჭირო იყო სიმართლის დასაფარავად: როგორც უკვე ითქვა, ჯერ 1988 წლის 9 ივლისს, „სოვეტსკაია კულტურაში" დაიბეჭდა ზეიმალის წერილი. მერე, 1988 წლის 22 ივლისს, ჩემი „ღია წერილი ია მუხრანელს", და მხოლოდ ამის შემდეგ, 1988 წლის 6 აგვისტოს, „სოვეტსკაია კულტურაში" გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა პასუხი ზეიმალისადმი!

მეტი დამაჯერებლობისათვის, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ტყუილს: **„მოვახერხე თუ არა ქართველ მეცნიერთა საპასუხო წერილი დამებეჭდა, მაშინვე „ლიტერატურულმა საქართველომ" — ისევ ზემოდან მითითებით — გამოაქვეყნა ტ. ჯანტურიას „ღია წერილი".**

თავის დროზე „სოვეტსკაია კულტურაში" იბეჭდებოდა კორესპონდენტ ი. მუხრანელის მიერ ორგანიზებული ტყუილები და, გასაგებია, ვისი და რისი იმედით! მაგრამ დღესაც რომ ტყუის ქალბატონი ი. მუხრანელი, საინტერესოა, ახლა ვისი და რისი იმედით?!

ისე, ცხოვრების ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, საკვირველი არაფერია. ჩვენი ცხოვრება, საბედნიეროდ, ისე წარიმართა, ტოტალიტარული რეჟიმის კიდევ ბევრ მსახურს მოუხდება მემუარების წერა და თავის მართლება, თუმცა თავის მართლებას მაინც მონანიება სჯობს.

ი. მუხრანელმა პირველი გზა ირჩია — თავის მართლების. ამასთან, თავის „მემუარებში" იგი გამოიყურება, როგორც გმირი. ეს, ბოლოს და ბოლოს, მისი და მისი მკითხველების საქმეა. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც პირადად მეხება.

„ლიტერატურულმა საქართველომ" — ისევ ზემოდან მითითებით — გამოაქვეყნა ტ. ჯანტურიას „ღია წერილი", რომ ბრძანებს ქალბატონი, ვერ გავიგე, ის მითითება **ზემოდან** გაზეთმა მიიღო თუ მე. ალბათ გაზეთმა, მე კი, როგორც რედაქციის ხელის ბიჭს, როგორც ჩანს, **ზემოდან** მიღებული მითითების შესრულება დამევალა!

აი, ასე...

ი. მუხრანელი — „სოვეტსკაია კულტურას" კორესპონდენტი — წლების მანძილზე ასრულებდა თავისი შეფების დავალებებს როგორც **ზემოდან,** ისე **ქვემოდან. ქვემოდან** მას მითითებებს აძლევდნენ ხან ენუქიძე, ხან ფოფხაძე, ხან პატიაშვილი, ხან ნიკოლსკი, ხან — ყველა ერთად! ზემოდან იგი განკარგულებებს იღებდა იმპერიული პრესის ხელმძღვანელებისაგან! ასე გაიწაფა იგი **ზემოდან** და **ქვემოდან** სამსახურში. როცა ის „ღია წერილი" გამოვაქვეყნე, სასწრაფოდ, **ზემოდან** მითითებით, „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ი. მუხრანელის პასუხი. იმ პასუხში დღეის გადასახედიდან ყველაზე საინტერესო იყო მუქარა — მე შემეძლო, პასუხი ცენტრალური პრესით გამეცაო, ესე იგი, დამესამარებინეთო, მაგრამ ეს არ ვიკადრე, აი, რამდენ კეთილშობილი ვარო... რედაქციამ გაწიწმატებულ ქალბატონს ის მუქარა წაუშალა — რაც უნდა იყოს, უხერხულად ჟღერს, როცა კოლონიის მკვიდრს მეტროპოლიაში დაბეზღებით ემუქრები... სამაგიეროდ, ტექსტში ჩარჩა ერთი ადგილი, როგორც საბუთი იმისა, თუ რა მამაცურად გადაეფარა ამბრაზურას კორესპონდენტი „სოვეტსკაია კულტურის" დასაცავად —„იმ წერილში (ე. ი. ზეიმალის წერილში. — ტ. ჯ.) გამოხატულია მხოლოდ მკითხველების და არა რედაქციის აზრიო"...

მე მაშინ უპასუხოდ დავტოვე საბჭოთა პრესის კომუნისტი ვეტერანის (ან იქნებ აწ უკვე ექსკომუნისტის) ის გამოხდომა. როგორც ხედავთ, მან აქედან არასწორი დასკვნა გამოიტანა.

მე არ ვაპირებ უმადურ შრომას იმის გასარკვევად, თუ იმპერიის პრესის სამსახურში ყოფნისას ისეთი რა საჩოთირო პუბლიკაციები მოამზადა ქალბატონმა ი. მუხრანელმა, რომელთა შესახებ საუბარიც „მემუარებში" არ ისურვა გასაგები მიზეზების გამო. მე მხოლოდ ერთი კითხვა მინდა დავუსვა: ნუთუ არ გაუგია, ჩალით დახურულ ქვეყანას ახლა კრამიტით რომ უპირებენ საქართველოში დახურვას!

მართლაც რომ საინტერესო სიტუაციაა: დღეს ყველა გმირი, ერისკაცი და ერისქალია! მაგრამ მაშინ სხვა იყო — მაშინ ზოგი „ზემოთ" იყო და ზოგი „ქვემოთ". ასე მაგალითად, ქალბატონი ი. მუხრანელი „ზემოთ" ბრძანდებოდა, თქვენი მონამორჩილი „ქვემოთ", და, იმ საცოდავი ბატკნისა არ იყოს, წყალს როგორ ამღვრევდა...

ერთი უმორჩილესი თხოვნა მაქვს ჩვენი უზენაესი საბჭოსადმი — რაც შეიძლება მალე მიიღოს პრესის კანონი. რათა უზნეო და უნიჭო მჯღაბნელებს ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგოთ დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და ცილისწამების სურვილი.

ტარიელ ჯანტურია.

რატომ გავხდი სამიზნედ?

როცა ფოსტალიონმა დღევანდელი ფოსტა მოიტანა და ია მუხრანელის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილი წავიკითხე და შემდეგ გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა" გადავშალე, გაოცება გამოიწვია ამ უკანასკნელში ერთ-ერთი სტატიის ქვეშ ია მუხრანელის გვარი რომ ვიხილე. ქ-ნი ია ხომ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ჟურნალისტური პათოსით გაჟღენთილ წერილში, უკვე დაპყრობილი ზნეობრივი მწვერვალების სიმაღლიდან აცხადებს, რომ ჟურნალისტისთვის მთავარია სიმართლე, არ გაიყიდო და რწმენას არ უღალატო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს (რომელშიც იგი ათეული წელი ბეჯითად თანამშრომლობდა) კრიტიკის შემდეგ ამბობს: „ამ უსიცოცხლო მექანიზმის ჭანჭიკი არ მინდოდა ვყოფილიყავი და ცენტრალური გაზეთიდან წამოვედიო"... აქედანაც ნათელი გახდა რა სიმართლითა და ობიექტურობით არის ნაკარნახევი გაზეთში გამოქვეყნებული წერილის „გულახდილი" აღსარება.

მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი. გაუგებარი და გულსატკენი გახდა ის, თუ რატომ გავხდი სამიზნედ. ჩვენი ერთად თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (დიახ, იგი ერთგულად ემსახურებოდა ყველა ღონისძიებას — მონუმენტების გახსნასა თუ იუბილეების ჩატარებას და მათზე აღფრთოვანებულ ინფორმაციებს გზავნიდა ცენტრში), ჩვენ წინ მრავალი პრობლემა წამოიჭრებოდა, პრობლემები რთული, ხშირად გადაუჭრელიც და ვერ დავიჯერებ, რომ ქ-ნმა იამ არ იცოდეს, რომ ჩემს მიერ კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობისას დრო, გამოცდილება და ენერგია არ დამიშურებია იმისათვის, რომ ჩვენი კულტურის მოღვაწეთათვის შემექმნა უკეთესი პირობები შემოქმედებისათვის, რომ ჩემი მთავარი საზრუნავი ეროვნული კულტურა და მისი ფართო პროპაგანდა იყო. სამხატვრო აკადემიას რომ ახსენებს, ნუთუ ქ-ნ იას არ მოაგონდა, რომ სწორედ იმ ნეგატიური მოვლენებისა და უხეში დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აკადემიაში, კულტურის განყოფილების გამგეზე ყველა ინსტანციაში (მათ შორის — კგბ-ს თავმჯდომარესთან ჩებრიკოვთან) დაიგზავნა უამრავი ანონიმური წერილი, რომელშიც იგი ცხადდებოდა სოციალისტური კულტურის, „სოციალისტური რეალიზმის" მტრად იმის გამო, რომ თურმე არ ვკრძალავდი „ანტისაბჭოთა" მიმდინარეობებს ხელოვნებაში და ხელს ვუწყობდი „ბურჟუაზიული ხელოვნების ნიმუშების" დანერგვას. დიახ, ძნელი იყო „დგომა ჭეშმარიტების მხარეზე, ვისაც დუმილი არ ძალუძდა".

კულტურის განყოფილება ვერ ამჩნევდა როგორ იყიდებოდა მიწა, რა ღარიბულად ცხოვრობდნენ მთიელები, რა რთული პროცესები იყო ავტონომიურ ფორმირებებში — ძალზე დიდ დატვირთვას ხომ არ აკისრებს ქ-ნი ია აღნიშნულ განყოფილებას, მით უმეტეს, როცა მის ხელმძღვანელად პროფესიონალი-ხელოვნებათმცოდნე იყო მიწვეული და არა პარტიული ფუნქციონერი.

დევნიდნენ ყველასო, და მაგალითად მოიშველიებულია „სოვეტსკაია კულტურაში" გამოქვეყნებული ყოვლად მავნე, ანტიქართული წერილი, რომელიც ფოლკლორული მუსიკის საკითხებს და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს შეეხებოდა.

როცა მარტის არჩევნების სიყალბე გამოუცდია, და კონკურენტად ჩემი გვარი უნახავს, რატომ ის აღარ მოახსენა მკითხველს, რომ მე მაშინ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე მოვხსენი ჩემი კანდიდატურა, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომელზედაც ახლა თვითონ წერს.

მკითხველმა არ უნდა იფიქროს, თითქოს მე ვიცავ ყველაფერს, რაც გაკეთებულია კულტურის განყოფილებაში. არამც და არამც! კრიტიკისათვის მასალა ბევრზე ბევრია. მაგრამ საიდან მოდის ასეთი ტენდენციურობა, ამდენი გესლი?!

წერილის დასაწყისში ქ-ნი ია წერს იმ სიძნელეებზე, რომელიც მას მძიმე შრომის დასაწყისში ეწვია. ჩემი თაობისათვის ცხოვრების დასაწყისი უფრო მძიმე იყო. მაგრამ „ხალხის მტრების" ოჯახებიდან გამოსულნი დაქვრივებულმა დედებმა, ახლობლებმა თუ მეზობლებმა ისე გაგვზარდეს, რომ ცოცხალი ადამიანისადმი ბოღმა არ დაგვყოლია, ქრისტიანული მორალი იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი.

მე არ მინდა ქ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი ახალ სიტუაციაში კარიერის მაძიებელთა რიგში მოვათავსო, მაგრამ ის კი მინდა ვურჩიო მას, რომ „ბალანსირება დანის პირზე" ყველა ვითარებაში ძალზე ძნელი საქმეა. ახლა პირადი ანგარიშსწორების დრო არ არის. დიახ, „საქართველოს მრავალპარტიული სისტემით არჩეული მთავრობის ერთგულების დროშის ქვეშ ყველას კონსოლიდაციაზეა" დამყარებული ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის მომავალი.

ნოდარ ჯანბერიძე.
9.10.90.

გამოვასწოროთ შეცდომა

წლევანდელ 9 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წავიკითხე ნიჭიერი ქართველი ჟურნალისტის ია ბაგრატიონ-მუხრანელის გულახდილად დაწერილი წერილი-აღსარება „კოლეგებო დაბრუნდით... ბრძოლა გრძელდება!" ისე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ქალბატონი ია მთელი შემართებითა და გამბედაობით იბრძვის სიმართლისა და პატიოსნებისათვის. წერილში ნათლად არის ასახული უახლოეს წლებში საქართველოში მომხდარი ამბები, როცა მართლაც არ ერიდებოდნენ არც ჭორს, არც დევნას და არც შანტაჟს, რამაც ჟურნალისტ მანდილოსანს არაერთგზის დიდი ტრავმა მიაყენა, და განა მარტო მას?!

ეს იყო საშინელი პერიოდი, როდესაც საქართველოს იდეოლოგიას მართავდნენ ზემოთ აღნიშნულ წერილში მოხსენიებული პარტიული ფუნქციონერები. ჩემი მხრივ კი დავამატებდი, რომ ქართული კულტურისა და მწერლობის „აღორძინების" საქმეში არანაკლები „დამსახურება" მიუძღვის აგრეთვე ვლადიმერ ალფენიძესაც, რომელიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას „ამდიდრებდა" ლადო ბახტრიონელის და სხვა ფსევდონიმებით ხელმოწერილი პუბლიკაციებით.

ამჯერად გვინდა ერთ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსაცემად მოამზადა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, რომლის რამდენიმე ტომი უკვე დაიბეჭდა კიდეც. როგორც გამოცემული ტომების სატიტულო ფურცლებიდან ვგებულობთ, „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქციის კოლეგია" შედგება 28 წევრისაგან (ეს რა უბედურებაა!). თავისთავად უკვე ესეც მეტყველებს, რომ თავის დროზე, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრისას, მთელი სერიოზულობით არ უფიქრიათ. ამის შესახებ ჩვენ განვაცხადეთ თხზულებათა I ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებულ სხდომაზე. ახლა მაინც გამოვასწოროთ წარსულში მაამებლობით დაშვებული შეუწყნარებელი შეცდომა და დარჩენილი გამოსაცემი ტომების სატიტულო ფურცლებიდან ამოვიღოთ დაუმსახურებლად მოთავსებული სახელები: გურამ ენუქიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ოთარ ჩერქეზია და ნოდარ ჯანბერიძე, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ მწერლის თხზულებათა მომზადებაში. ასეთი უდავოდ სამართლიანი გადაწყვეტილებით, პატივი მივაგოთ დიდი ილიას სახელს!

ზიზი მიქაძე.
პროფესორი.

საზღვარგარეთ

„ჩრდილოეთ" — „სამხრეთის" წინააღმდეგობა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პერსპექტივები

გვსურს თუ არა ქართველებს, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევამდე ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა შეიძლება ძირითადად მხოლოდ თეორიულად არსებობდეს. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ჩვენ პრაქტიკულად მოკლებული ვიქნებით ამ პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებს. მაშ რისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ეს პერიოდი? პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის იმ პროცესების ღრმა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ მსოფლიოს „ახლებურად მოწყობის" პერსპექტივას ქმნიან. ამგვარი მოწყობის რამდენიმე შესაძლებელი მოდელი არსებობს იმ ღირებულებებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზე მსოფლიოს „ახლებურად მოწყობას" ვარაუდობენ მსოფლიოში არსებული ძირითადი პოლიტიკური ძალები ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძალის ცენტრები. ამიტომ საქართველოსათვის უკვე ამ ეტაპზე აუცილებელია მსოფლიოს გააცნოს, თუ რომელ მოდელს უჭერს მხარს, რა ღირსებების საფუძველზე სურს დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

სოციალისტური ბანაკის დაშლამ და საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის განცხადებებმა საერთაშორისო ურთიერთობებში საკაცობრიო ფასეულობებისადმი ერთგულების თაობაზე, დასავლეთს იმედი ჩაუსახა, რომ საბჭოთა კავშირი, ეს უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის და სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფო, მის გვერდით დადგება საკაცობრიო ღირებულებათა საფუძველზე მსოფლიოს „ახლებურად მოწყობის" საქმეში. მაგრამ ეს ტყუილი იმედია და, აი, რატომ.

„დასავლეთთან" და „აღმოსავლეთთან" ანუ კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროსთან ერთად მსოფლიოში არსებობდა და არსებობს მესამე ძალა ე. წ. მესამე სამყაროს სახელმწიფოები, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ გამოყენების სურვილით „დასავლეთმა" და „აღმოსავლეთმა" ისე გააძლიერეს, რომ მას მსოფლიოს თავისებურად მოწყობის სურვილი გაუჩნდა საკუთარი ღირებულებების საფუძველზე. გაჩნდა კონფლიქტის გამწვავების პერსპექტივები ამჟამად უკვე „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" შორის ე. ი. ქრისტიანობასა და ისლამს შორის, რადგან მესამე სამყაროს უდიდეს ნაწილს მაჰმადიანური სახელმწიფოები წარმოადგენენ, რომლებსაც „ჩრდილოეთისაგან" აშკარად განსხვავებული ღირებულებები გააჩნიათ. მესამე სამყაროს უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ დიქტატორული, ტოტალიტარული, ზოგჯერ აშკარად რეაქციული რეჟიმები, რომელთა არსებობაც საფრთხის ქვეშ დადგა, როცა მათ მფარველი საბჭოთა კავშირის დახმარება მოაკლდათ და ყოფილმა „დასავლეთმა", ამჟამად კი „ჩრდილოეთმა" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მათი გამოყენების სტრატეგიაზე უარი თქვა. მსოფლიოს „ახლებურად მოწყობა" „ჩრდილოეთის" მიერ აღიარებულ საკაცობრიო ღირებულებათა საფუძველზე ამ რეჟიმების აღსასრულს მოასწავებს და მათმა უძლიერესმა წარმომადგენელმა ერაყმა სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ახალი, მეტად საშიში შედეგების მომტანი კონფლიქტის გაჩაღება, რათა ამით მესამე სამყაროს ძალაც აჩვენოს და „დასავლეთის" და „აღმოსავლეთის" გაერთიანებასაც შეუშალოს ხელი.

საბჭოთა კავშირის ოფიციალურმა პოზიციამ სპარსეთის ყურის კონფლიქტთან დაკავშირებით „ჩრდილოეთის" მიერ აღიარებულ ღირებულებებთან მისი სოლიდარობის ილუზია შექმნა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა, რადგან საბჭოთა იმპერია, რომლის შიგნითაც თავად არსებობს კონფლიქტი „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" ანუ ქრისტიანობასა და ისლამს შორის, ამ მიზეზით ვერ დადგება „ჩრდილოეთის" მხარეზე. მაშინ მან უარი უნდა თქვას იმპერიის მაჰმადიანი მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე, რაც არ მოხდება. „ჩრდილოეთის" მხარეს შეიძლება დადგეს მხოლოდ რუსეთი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული რუსეთი და არა საბჭოთა იმპერია. პარიზიდან დაბრუნებულმა მ. გორბაჩოვმა სწორედ აღნიშნულის მიზეზის გამო განუცხადა საბჭოთა პარლამენტის წევრებს არაფრით არ უნდა დავუშვათ, რომ წინააღმდეგობა „დასავლეთსა" და „აღმოსავლეთს" შორის „ჩრდილოეთის" და „სამხრეთის" წინააღმდეგობით შეიცვალოსო. გორბაჩოვს არ სურს აღიაროს, რომ ეს უკანასკნელი დიდი ხანია არსებობს და პირველ რიგში — მის იმპერიაში. გორბაჩოვს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ ნიშანოვებს და ნაზარბაევებს, რომლებიც მას გვერდით იმპერიის დამცველებად უდგანან, მხოლოდ ერთი იმედი აქვთ — თანდათანობით, წყნარად, ჩუმი პოლიტიკის გატარებით და მაჰმადიანური მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდით მთელს იმპერიას დაეპატრონონ. მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა და აღნიშნულის შიშზე მეტია შიში საბჭოთა იმპერიის სწრაფი დამხობისა. დამოუკიდებელ რუსეთში კი, აირჩევს თუ არა ვინმე გორბაჩოვს პრეზიდენტად, საკმაოდ საეჭვოა.

ყოველივე აღნიშნულის ანალიზს ყოფილი „დასავლეთის" ექსპერტებიც აკეთებენ, მაგრამ მათ ეშინიათ და სავსებით სამართლიანადაც საბჭოთა იმპერიის უდიდესი სამხედრო მანქანის, რომლისაგანაც არავინ იცის, რა არის მოსალოდნელი.

საქართველომ, რომელიც „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" საზღვარზე მდებარეობს, თავიდანვე უნდა დაანახოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ ის თანახმაა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში შევიდეს „ჩრდილოეთის" მიერ აღიარებული საკაცობრიო ღირებულებების საფუძველზე და უკვე ამჟამად მას პრინციპულ კონფლიქტებში, მაგალითად სპარსეთის ყურის კონფლიქტში, არა საბჭოთა კავშირივით ორპირი, არამედ მტკიცე და აშკარა პოზიცია უკავია. ასეთივე პოზიცია უნდა ჰქონდეს საქართველოს ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხში. ჩვენ არაორაზროვნად უნდა განვაცხადოთ, რომ არც გვქონია და არც გვაქვს რაიმე ისლამის, როგორც რელიგიის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველნაირად წინ აღვუდგებით ცდებს — გამოიყენონ იგი იდეოლოგიად და პოლიტიკად.

რეალისტები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ უკვე ამ ეტაპზე საერთაშორისო პოლიტიკური წრეების დაინტერესება ჩვენ პირველ რიგში იმით შეგვიძლია, რომ „ჩრდილოეთის" და „სამხრეთის" საზღვარზე ვიმყოფებით და ისლამთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება გვაქვს, რადგან აღნიშნული წინააღმდეგობით და მისი მოწესრიგების შესაძლებელი გზებით „ჩრდილოეთის", პირველ რიგში აშშ-ის და ევროპის პოლიტიკური წრეები საკმაოდ დაინტერესებულნი არიან. ამ მიმართულებით უკვე ახლა შეიძლება დავიწყოთ მიზანმიმართული საერთაშორისო საქმიანობა.

კოტე ჟღენტი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კანონი პოლიციის შესახებ

ვილნიუსი. ლიტვის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც განაგრძობს ხელისუფლების ორგანოების რეორგანიზაციას, დღეს სესიაზე მიიღო კანონი „პოლიციის შესახებ".

განმარტა რა იგი, მხარის დაცვის და პარლამენტის შინაგან საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ვაიშვილამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების რეორგანიზაცია იწყება 1991 წლის 1 იანვრიდან და უნდა დამთავრდეს ნახევარ წელიწადში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იანვრიდან შინაგან საქმეთა ორგანოები დაფინანსდებიან ლიტვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ხოლო მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

უჩვეულო მეზობლობა — შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რიჩარდ ჩეინი „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის" პორტრეტის ფონზე. საბჭოთა კავშირში ოთხდღიანი ვიზიტის შემდეგ რ. ჩეინიმ განაცხადა, რომ მისი შეხედულებები სწრაფად არ იცვლება და ახლა იგი „ოპტიმისტი სკეპტიკოსია" საბჭოთა სამხედრო ზრახვების მიმართ.

გაზეთ „ინთერნეიშნლ ჰერალდ თრიბუნის" ფოტო.



შარი დახმარებაზე

ტალინი. ესტონეთი უარს აცხადებს საზღვარგარეთიდან სასურსათო დახმარების თავის წილზე. ასეთია რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ე. სავისაარის პასუხი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ვორონინის თხოვნაზე, შეექმნათ დახმარების მიღებისა და განაწილების შტაბი.

დახმარებაზე უარის თქმის საკითხი უკვე განიხილეს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგება ჯერ არ მოითხოვს უცხოურ სახელმწიფოთა მხარდაჭერას.

ესტონეთის პრემიერ-მინისტრის მიერ მოსკოვში გაგზავნილ დეპეშაში ასევე ნათქვამია, რომ უარი არ ვრცელდება საჩუქრებიან ამანათზე, რომლებიც დაძმობილებული ქალაქებიდან იგზავნება, და დახმარებაზე, რომელიც რესპუბლიკაში წითელი ჯვრის ხაზით შემოდის.

დღეს

— **კორეის** რესპუბლიკის პრეზიდენტი რო დე უ პირველად ჩადის ოფიციალურ ვიზიტად საბჭოთა კავშირში.

— **რომში** იხსნება ევროპის საბჭოს სესია სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურთა დონეზე. იგი ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნას ეძღვნება და 15 დეკემბრამდე გასტანს.

— **ბუენოს-აირესში** გაიხსნება არგენტინის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელიც 16 დეკემბრამდე გაგრძელდება.

— **ვარშავაში** პოლონეთის სეიმი განიხილავს მთავრობის გადადგომის საკითხს.

სხვადასხვა

გერმანიის ეკოლოგიური ორგანიზაციის „ბუნდის" მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ეკოლოგიური ბანაკის მონაწილეები გახდნენ საქართველოს უფროსკლასელები. ეს ქართველი ბავშვების საპასუხო ვიზიტია. მიმდინარე წლის ზაფხულში ასეთი ბანაკი გაიხსნა საქართველოს ბუნების დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების ინიციატივით ლაგოდეხში, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანელი სტუდენტები.

მტკიცდება ეკოლოგთა კავშირი

— „ეკოკემპინგ-90" მდებარეობდა ტყეში, ზაარბრიუკენის მახლობლად, — უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტს ახალგაზრდული გაერთიანების მეცნიერმა მდივანმა მარინე თევზაძემ. — ათი დღის განმავლობაში იქ მიმდინარეობდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოები. გამოცდილი სპეციალისტები კითხულობდნენ ლექციებს, ასწავლიდნენ ლაბორატორიული ანალიზის განხორციელებას. ბავშვები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს და მათთვის ადვილი იყო ურთიერთობა. ფერმის ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ქიმიური სასუქების გამოუყენებლად მოჰყავდათ ხილი და ბოსტნეული. გარდა ამისა, ისწავლეს მდინარის ბინადარი პატარა ორგანიზმების ანალიზის მეშვეობით წყლის გაჭუჭყიანების დონის განსაზღვრა. ერთობლივმა მუშაობამ დააახლოვა ეკოლოგიური ბანაკის ყველა მონაწილე. გამგზავრების წინ შევხვდით ზაარბრიუკენში „ბუნდის" ორგანიზაციის წარმომადგენლებს და დავთქვით მომდევნო საერთაშორისო ეკოლოგიური ბანაკის მუშაობის პერსპექტივები, რომელიც გაისად გაიხსნება რესპუბლიკაში.

ფართოვდება ქართველ ბუნების დამცველთა კავშირურთიერთობა. ახლახან რესპუბლიკას ეწვივნენ ახალგაზრდა შვეიცარიელი ეკოლოგები — ეკოლოგიური დახმარებისა და თანამშრომლობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები. საქართველოს ბუნების დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების ინიციატივების შესახებ მათ შეიტყვეს პრესიდან და გადაწყვიტეს კონტაქტების დამყარება. გაისად საგარეჯოში გაიხსნება ახალგაზრდული ეკოლოგიური ბანაკი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა შვეიცარიელი მეცნიერები. დათქმულია მეცადინეობათა თემაც, შემუშავებულია პერსპექტიული გეგმა. შვეიცარიელმა ეკოლოგებმა შემოგვთავაზეს განვიხილოთ აქტუალური თემა, რომელიც აწუხებს ყველა ქვეყნის მცხოვრებლებს — სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ზემოქმედება ნიადაგსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. თავიანთი მხრივ, მომავალი წლის ივლისში ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები გაემგზავრებიან შვეიცარიაში, რათა მონაწილეობა მიიღონ ალპებში გახსნილ ეკოლოგიურ ბანაკში.

ალა ქიქოძე,
სს „საქართველოს" კორ.

თელავიველთა დადგმა

„სპექტაკლი „სეჩუანელი კაცი" გააერთიანებს ქართულ თეატრალურ ტრადიციებსა და ებრაულ სცენურ კულტურას. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ბრეხტის ამ პიესის დასადგმელად მოწვეულია თელავიველი რეჟისორი ომრი ნაცანი. ერთობლივი ნამუშევარი განაგრძობს შემოქმედებითს კონტაქტებს, რომლებსაც დასაბამი მისცა მოლიერის „ტარტიუფმა" რობერტ სტურუამ რომ დადგა თელავივის თეატრ „გაბიმას" სცენაზე გასული წლის დამლევს. სწორედ მაშინ მიაღწიეს შეთანხმებას თბილისისა და ისრაელის თეატრების თანამეგობრობის შესახებ. მისი პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივ დადგმებს, გასტროლებს, ორი კოლექტივის სცენური ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედების შეხვედრებს, ისრაელში საქართველოს კულტურის დღეების და, შესაბამისად, თბილისში ისრაელის კულტურის დღეების მოწყობას. სწორედ მაშინ გაეცნობიან ქართველი მაყურებლები „გაბიმას" დასის შემოქმედებითს მიმართულებას და ისრაელი სპეციალისტების მიერ ბოლო წლების საუკეთესო ნამუშევრად აღიარებულ „ტარტიუფს" რობერტ სტურუას რეჟისურით.



ხიდი

შესანიშნავი ათეული



საბჭოთა და ამერიკელ ფოტოჟურნალისტთა სემინარი თემაზე — „ფოტოჟურნალისტიკა გვეხმარება, უკეთ გავიცნოთ მსოფლიო" — მარტო სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში გამართული შეხვედრებით რომ ამოწურულიყო, ჩვენი საკმაოდ ძვირი მოგზაურობა ოკეანისგაღმიდან ვერ მოგვგვრიდა ისეთ კმაყოფილებას, როგორც საქართველოში გატარებულმა ამ ხუთმა შესანიშნავმა დღემ მოგვანიჭა, — თქვა გამომშვიდობებისას გაზეთ „ნიუსდეის" ფოტოგანყოფილების მთავარმა რედაქტორმა, ამერიკის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯეიმს დულიმ.

თბილისში, 1988 წელს, გაცხარებული მიტინგების, პირველი დემონსტრაციების, პოლიტიკური ვნებათაღელვის დროს, საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოჟურნალისტთა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯოზეფ ტრევერი. სწორედ იგი გახდა ფოტოჟურნალისტთა როგორც ერთობლივი სემინარის, ისე საქართველოში ჩამოსვლის ინიციატორი. „თქვენი დოლარები, — უთხრა მან თავის კოლეგებს, — გამართლდება სწორედ ჯორჯიაში: იქ შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ!".

და ისინი ჩამოვიდნენ: მომხიბვლელი, თავისუფალი, ლაღი ადამიანები, მაღალი პროფესიონალიზმით, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ჟურნალისტები...

სს „საქართველო"

მეჯისხვა

საბაზრო ეკონომიკა და ფასების სამართლებრივი მოწესრიგება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უეჭველად გამოიწვევს საცალო ფასების უზომოდ გაზრდას. ამას ხელს შეუწყობს სამომხმარებლო ბაზრის უზარმაზარი დეფიციტი და საქონლის მწარმოებელი საწარმოების მონოპოლიური მდგომარეობა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ხალხის შეშფოთება ფასების მოსალოდნელ გაზრდასთან დაკავშირებით. სოციალური კომპენსაციების მიცემა, რომლის აუცილებლობასაც ყველა აღიარებს, დღეს არსებული უკიდურესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს არ შესწევს აღნიშნული თანხის გაღების უნარი. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულ დროს აუცილებელი ხდება ფასების მოწესრიგება ცენტრალიზებულად. ამის გამოცდილება სხვა ქვეყნებში არსებობს. ამ მხრივ უდაოდ საინტერესოა დასავლეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხზე.

საზღვარგარეთის კანონმდებლობის შესწავლას ამ სფეროში ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: პირველი, უნდა შეიცვალოს საზოგადოების ერთ ნაწილში საკმაოდ გაბატონებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების მოწესრიგება სტიქიურად ხდება, თითქოს ამ პროცესში სახელმწიფო პასიური მაყურებლის როლს ასრულებს. ეს აზრი უმეტეს წილად სახალხო მოხმარების საქონელზე კატასტროფულად მზარდი ფასებისა და ამავე დროს, მონოპოლიზმის შენარჩუნების სურვილითაა გამოწვეული; მეორე, უცხოეთის კანონმდებლობის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს გავითვალისწინოთ ის შეცდომები, რაც უკვე ჰქონდათ სხვა ქვეყნებს. ჩვენი ახალი კანონმდებლობა კი სწორედ ამ გამოცდილების გაზიარებით უნდა შევიმუშაოთ.

1986 წლის 1 დეკემბერს საფრანგეთში მიღებულ იქნა ორდონანსი თავისუფალი ფასებისა და კონკურენციის შესახებ. ორდონანსი უთითებს, რომ იმ საქონლის, პროდუქტების და მომსახურების ფასები, რომლებიც ადრე განისაზღვრებოდა 1945 წლის ორდონანსით, მომავალში განისაზღვრება თავისუფლად კონკურენციული ბრძოლის შედეგად. მაგრამ იმ სექტორებსა და ოლქებში, სადაც ფასების კონკურენცია შეზღუდულია მონოპოლიის არსებობით ან მომარაგების ხანგრძლივი სიძნელეებით, სახელმწიფო საბჭოს შეუძლია კონკურენციის საბჭოსთან შეთანხმებით თავისი დეკრეტით განსაზღვროს ფასები.

ამავე დროს მთავრობას შეუძლია სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით გაატაროს დროებითი ღონისძიებები, ფასების უზომოდ ზრდის წინააღმდეგ, რაც ნაკარნახევი იქნება კრიზისული მდგომარეობით, საგანგებო გარემოებით, სოციალური უბედურებით ან ამა თუ იმ რეგიონში ბაზარზე არსებული აშკარად არანორმალური ვითარებით.

აღნიშნულ აქტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მონოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. კერძოდ, აკრძალულია შეთანხმებული მოქმედებები, აშკარა ან ფარული კავშირები და კოალიციები. თუკი ისინი მიზნად ისახავენ ან შეუძლიათ ხელი შეუშალონ, შეზღუდონ ანდა დაარღვიონ კონკურენცია ბაზარზე. ასევე იკრძალება ისეთი მოქმედებები და კავშირები, რომლებიც ა) ზღუდავენ ბაზარზე სხვა საწარმოების გასვლის შესაძლებლობას ან მათ შორის კონკურენციას;

ბ) ხელს უშლიან თავისუფალი საბაზრო ფასების წარმოშობას ფასების ხელოვნური ზრდის ან დაწევის მეშვეობით;

გ) ზღუდავენ ან კონტროლს ქვეშ მოიქცევენ წარმოებას, გასაღების ბაზრებს, კაპიტალდაბანდებებს ან ტექნიკურ პროგრესს.

დ) ინაწილებენ გასაღების ბაზრებსა ან მომარაგების წყაროებს.

ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილი მოვლენებიდან თითქმის ყველა ჩვენი საზოგადოებისათვის აშკარად დამახასიათებელია. ამიტომ საჭიროა მსგავსი ღონისძიებების გათვალისწინება კანონმდებლობაში. რაც უფრო დროზე გაკეთდება, ეს, მით უფრო სასურველია, ვინაიდან ბაზრის სტიქიურმა კანონებმა შეიძლება ბევრი გამოუსწორებელი სოციალური შედეგი გამოიწვიოს.

ანალოგიური ნორმები უფრო ადრე იყო განმტკიცებული დასავლეთის სხვა სახელმწიფოებშიც. კერძოდ, კლეიტონის კანონის თანახმად, რომელიც მიღებული იქნა 1914 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იკრძალება „შემბოჭველი კონტრაქტები", თუკი ისინი გამოიწვევენ კონკურენციის არსებითად შემცირებას ან წარმოიშობა მონოპოლიის შექმნის შესაძლებლობა. რობინსონ-პატმანის 1936 წლის ამერიკული კანონი კრძალავს კონკურენციის ან კონკურენტების მოსპობის მიზნით დემპინგურ („არაგონივრულად დაბალ") ფასებში საქონლის გაყიდვას.

ამგვარ გარიგებებზე კონტროლის გაწევის მიზნით დასავლეთის ქვეყნებში შემოღებულია ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში მათი სავალდებულო რეგისტრაციის წესი. ამ დროს ხდება ამ გარიგებათა შეფასება.

საფრანგეთის ზემო აღნიშნული ორდონანსის თანახმად, საწარმოებს ან საწარმოთა ჯგუფებს ეკრძალებათ ბოროტად გამოიყენონ დომინირებული მდგომარეობა საშინაო ბაზარზე ან მის არსებით ნაწილზე, ასევე ეკონომიკური დამოკიდებულება, რომელშიც იმყოფება კლიენტი-საწარმო ან საწარმო-მიმწოდებელი, თუკი მათ არა აქვთ არჩევანის შესაძლებლობა. რაში გამოიხატება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება? — საქონლის გაყიდვაზე უარის თქმაში ან გაყიდვის დისკრიმინაციული პირობების შექმნაში, ასევე არსებული კომერციული კავშირების გაწყვეტაში მხოლოდ იმ მოტივით, რომ პარტნიორი არ ემორჩილება უსამართლო კომერციულ პირობებს.

კონკურენციის საბჭოს უფლება აქვს უბრძანოს დაინტერესებულ პირებს, შეწყვიტონ ანტიკონკურენტული პრაქტიკა დადგენილ ვადაში ან დააკისროს მათ განსაკუთრებული ვალდებულებების შესრულება. ასევე უფლებამოსილია დააკისროს ფულადი სანქციები, რომელიც გადახდებათ დაუყოვნებლივ დარღვევისთანავე. სანქციის მაქსიმალური სიდიდე ერთი საწარმოსათვის შეადგენს ბრუნვის 5%, რომელსაც საწარმომ მიაღწია საფრანგეთში, უკანასკნელი დასრულებული სამეურნეო წლის განმავლობაში გადასახადების გამოკლებით. თუკი დამრღვევი არ არის საწარმო, მაშინ სანქციის მაქსიმალური ზომა შეადგენს 10 მილიონ ფრანკს.

კონკურენციის საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება დაინტერესებულ პირებს და ეკონომიკის მინისტრს, რომელთაც უფლება აქვთ, ორი თვის ვადაში გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოში.

საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება კონკურენციის, მოხმარებისა და მოტყუებითი მოქმედებებისათვის სასჯელთა ოფიციალურ ბიულეტენში.

ვაჭრობაში მონოპოლიებისა და ფასების ზრდის წინააღმდეგაა მიმართული დიდი ბრიტანეთის 1973 წლის „სამართლიანი ვაჭრობის კანონი". იგი განსაზღვრავს საქონლის ან პროდუქციის მიწოდების დროს თუ როგორი მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს მონოპოლურად. კერძოდ, მონოპოლურ მდგომარეობად მიიჩნევა, თუკი:

ა) სახელმწიფოში მოცემული სახის ყველა საქონლის არანაკლებ ერთი მეოთხედისა მიეწოდება ერთი პირის მიერ ან ერთ და იგივე პირს;

ბ) მოცემული სახის ყველა საქონლის არანაკლებ ერთი მეოთხედისა მიეწოდება ურთიერთდაკავშირებული კორპორაციული წარმონაქმნების მიერ ან ასეთი ჯგუფების წევრებს;

გ) მოცემული სახის ყველა საქონლის არანაკლებ ერთი მეოთხედისა მიეწოდება ერთი და იგივე ჯგუფის მონაწილეების მიერ ან ერთი და იგივე ჯგუფის წევრებს;

დ) მოქმედებს ერთი ან რამდენიმე შეთანხმება, რომლის შედეგად განსაზღვრული სახის საქონელი საერთოდ არ მიეწოდება სახელმწიფოში.

ამ პროცესების გასაკონტროლებლად სახელმწიფო მდივანი ნიშნავს სამართლიანი ვაჭრობის გენერალურ დირექტორს. მისი მოვალეობაა მეთვალყურეობა გაუწიოს კომერციულ საქმიანობას მთლიანად და გამოიკვლიოს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ მონოპოლიური სიტუაციის შექმნას და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წარმოშობას.

როგორც ჩანს, ფასების ცენტრალიზებული მოწესრიგების პრაქტიკა და მონოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთის ქვეყნების ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი არ არის სოციალისტური მოვლენა, როგორც ამას ზოგი პუბლიცისტი ამტკიცებს. ამავე დროს, სულ მოკლე ხანში ჩვენ აღმოვჩნდებით ფასების ტოტალური ზრდისა და მოსახლეობის დიდი უკმაყოფილების ვითარებაში. ამიტომ საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის საკანონმდებლო საქმიანობაში უნდა გაითვალისწინოს ამ სფეროში სათანადო კანონმდებლობის შემუშავება.

ლადო ჭანტურია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სპორტი

ძალისა და სილამაზის ჰარმონია

თუ ვინ შეძლო უკეთ შეეხამებინა საკუთარ სხეულში ეს ორი ცნება, განსაზღვრავს საქართველოს კულტურისტთა პირველი ჩემპიონატი. იგი გაიმართება 16 დეკემბერს რესპუბლიკის დამოუკიდებელ პროფკავშირთა კულტურის სასახლეში.

სპორტის ეს სახეობა შედარებით მცირე ხანია, რაც ჩვენთან დაინერგა, მაგრამ მან უკვე მოასწრო მრავალი თაყვანისმცემლის გაჩენა. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ეზიარება ახალ დისციპლინას, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ჰარმონიულ განვითარებას, ჯანმრთელობის გაკაჟებას. წლითიწლობით სულ უფრო პოპულარული ხდება საერთაშორისო ასპარეზობა „ოქროს საწმისი", რომელიც სამჯერ გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ეგიდით.

ფედერაცია აერთიანებს სპორტის ამ სახეობის ორ მიმართულებას— ძალისმიერ სამჭიდსა და კულტურიზმს. სწორედ იგი რესპუბლიკის სპორტსახკომთან ერთად აწყობს საქართველოს პირველ ჩემპიონატს კულტურიზმში.

ჩემპიონატში გამოვა 27 სპორტსმენი, რომლებიც წარმოადგენენ თბილისის, ბათუმის, საჩხერისა და რუსთავის ათლეტურ კლუბებს. ჯილდოები გათამაშდება სამ წონით კატეგორიაში — 70, 80 და 90 კილოგრამამდე. გამარჯვებულებისა და პრიზიორებისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები.

სს „საქართველო"

ჩემპიონის უპირატესობით

მსოფლიო პირველობაზე მატჩი ჭადრაკში გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. როგორც ცნობილია, ბოლო სამი პარტიიდან სამივე ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით დამთავრდა, ორი მოიგო ჩემპიონმა, ხოლო ერთი — პრეტენდენტმა. 18 პარტიის შემდეგ ანგარიშია 9,5:8,5 გ. კასპაროვის სასარგებლოდ. გუშინ გათამაშდა მატჩის მე-19 პარტია.

ტელევიზია

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50—ათლეტიზმი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ათოჯდა ზამთრის ბაღებს". I სერია. 17.20—ქართული დოკუმენტური ფილმი „აჭარული ჩანახატები". 17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაბელიცოს მარჯვენა". 18.00 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 18.25 — „თვალსაწიერი" — სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 19.05 —საქართველო ყველა ერთან პირნათელია — იოსებ მჭედლიშვილი. 19.45 — ძილისპირული. 20.00—მოამბე. 20.40—ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი ოსტატობის საიდუმლო". 21.00—„ერემია". 21.40 — საღამო მშვიდობისა! — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 24.00 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 14.50 — მხატვრული ფილმი „ორი ნაპირი. 16.05 — სატელევიზიო დადგმა „შინაურები ვართ, მოვრიგდებით". 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზურნეები". 20.00 — მოამბე. 20.40 — კინონარკვევი. 21.00-24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა (საცდელი გადაცემები).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი". 8.30 — მხატვრული ტელეფილმი „შანტაჟი". IV და V სერია. 11.25 — ბავშვის საათი. 12.25 — კოლაჟი. 12.30 და 18.30 — „ერემია". 13.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 16.30 და 0.25 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 16.45 — მულტფილმი. 16.55 — მუსიკალური საგანძური. ლ. ბეთჰოვენი — № 3 სიმფონია („გმირული"). 17.45 — „თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა"... 19.00 — „საქმიანი კურიერი". 19.25 — მხატვრული ტელეფილმი „შანტაჟი". V სერია. 21.00 — „ერემია". 21.40— შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 21.55 — „ალექსანდრე ვერტინსკი: მე შინ დავბრუნდი..." 23.25 — „კამერა სამყაროს უმზერს".

მეორე პროგრამა. 8.15 — კინოსტუდია „ლენნაუჩფილმის" ფილმები. 9.35 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. ეკე, ბორცვი, ხრამი, მთა. 9.05 — ესპანური ენა. 10.35 და 11.35 — ლიტერატურა. X კლასი. მ. სალტიკოვ-შჩედრინი „ზღაპრები". 11.05 — „ბურდა მოდენი" წარმოგიდგენს"... 12.05 — უკრაინის სსრ კავშირის სახელმწიფო კამერული ორკესტრი ვ. ტრეტიაკოვის ხელმძღვანელობით. 12.25 — მღერის ხალხური სიმღერის გუნდი. 12.50 და 19.00 — რიტმული ტანვარჯიში. 13.20 — მხატვრული ტელეფილმი „საზღვაო ამბები". VII სერია. 18.25 — კოლაჟი. 18.30 — „ერემია". 19.30 — „წინააღმდეგობის პროსპექტი". 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 20.15 — „წერილები ამერიკიდან". მეორე გადაცემა. 21.05 — გამოდის ფოლკლორული ანსამბლი „რუსიჩი". 21.40 — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია. 22.10 — მხატვრული ტელეფილმის პრემიერა. „ეს ჩვენ ვართ, ბატონებო!..".

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჩაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების განყოფილება 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა